



# იახელ +

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინფორმაციო უწრნალი შეზღუდული  
შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

17.13  
2009

№5 13 ივნის 2009

13



UDC(uak) 050-056.  
26+369.25+368. 945-ი -474

## სარედაქციო საბჭო

თემურაზ მიქიაშვილი  
გარღო მუშკუდიანი

## მთავარი რედაქტორი

თემურაზ მიქიაშვილი  
ტელ: 893335887

გამოცემები  
რედაქტორი:

გარღო მუშკუდიანი  
ტელ.: 897203960

საზოგადოებასთან  
უერთიერთობის მენეჯერი:

ნინო გახიძე  
ტელ: 897801802

მარკეტინგის  
მენეჯერი:

იაგო ყურაშვილი  
ტელ: 897012905

გამოცემები:

კავშირი „იმედი+“

საპრესტაციო  
ინფორმაცია

ჟურნალი „იმედი+“

ს.ჩიქოვანის ქ.14  
ტელ.: + 992(32) 365627

ელ ფოსტა:  
pr\_imediplus@yahoo.com

ჟურნალი რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
რეგისტრაციის ნომერი:  
01343/12/0726

პირველი გამოფენა ფორუმი.....	2
საქართველოს პრეზიდენტის გაეროს 2006 წლის კონვენციას ხელი მოაწერა .....	7
პროექტი უსინათლოთათვის.....	7
როგორ მოვუაროთ კბილებს .....	8
ხერხემლის ტრავმა .....	9
მისაბაძის გამოფენა-გაყიდვა.....	10
ადამიანის ჯანმრთელობას მოძრაობა ქმნის .....	11
აღნაგობა.....	13
ჩვენი განმარტებითი ლექსიკონი .....	14
პირველი გამოფენა ფორუმი .....	15
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს	
პირადობის მოწმობები გადაეცათ .....	19
პოლ მაკარტნიმ პაროლიმშიერებს მხარი დაუჭირა .....	19
ემოციები და სტრესები.....	20
საერთაშორისო მარათონი .....	21
კუჭისა და 12 გოვანან წყლულოვანი დაავადება .....	22
ადაპტიური ფიზიკური აღზრდა ოჯახის პირობებში .....	24
წმინდა ილია მართალი .....	27
„ვინა თქვა შენი უბედურება?“ .....	28
საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში .....	28
პაროლიმპიური თამაშების ისტორია .....	30
მოზაიკა .....	32

## ზურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანის წინა გვერდზე — აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი წლის  
ლობისტის პრიზს გადასცემს გიორგი ძნელაძეს,  
გამოფენა-ფორუმის ექსპონატები.

გარეკანის ბოლო გვერდზე — მშობელთა მზრუნველობას  
მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა  
ნამუშევრები.



იბეჭდება ფონდი ლია საზოგადოება-საქართველოს  
მხარდაჭერით

## ზურნალი გამოიცის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. უურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. უურნალისტის მიერ ჩანერილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

უურნალში გამოქვეყნებული სტატიისა და ფოტოსურათების გადაპეჭვდა რედაქციასთან  
შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

# პირველი კამოუნდა ურგენტი

14 ივნისს. შერატონ მეტეს პალასში ჩატარდა გამოფენა-ფორუმი, რომლის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემებსა და საჭიროებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო ინვალიდობის თემაზე მომუშავე 40-ზე მეტმა ადგილობრივმა არასამთავრობო, საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციამ. სულ, 500-მდე ადამიანმა.

ფორუმს დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერები გიგი წერეთელი და რუსულან კერვალიშვილი. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე, პარლამენტარი, მაგდა ანიკაშვილი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი, ლაშა უვანია, თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი მამუკა ქაცარავა და სხვა ოფიციალური პირები.

ფორუმი გაიმართა აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID-ის) მხარდაჭერით, პროექტის "თანაბარი პირობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის" ფარგლებში. პროექტი განხორციელა ორგანიზაციების – "გადავარჩინოთ ბავშვები (Save The Children) და "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" – მიერ.

პროექტის ფარგლებში გაიმართა მონაწილე ორგანიზაციების ნამუშევართა გამოფენა, საპანელო დისკუსია, მოხსენებები, კინოფილმებისა და სოციალური რეკლამების ჩვენება. ფორუმი დასრულდა ნომინაციებში გამარჯვებულთა დასახელებით.

ეს დღე იმით დაიწყო, რომ მაგიდებზე დალაგებული ექსპონატები ნაირ-ნაირი ფერებით გამობრნებიდა. რას არ ნახავდით აქ. თუ კი რამის გაკეთება შეეძლო ადამიანის ხელს, ყველაფერი აქ იყო ნარმოდგენილი (რა თქმა უნდა მძიმე ტექნიკის გარდა): მხატვრეული ტილოები, ვერცხლისა და ემალის საიუველირო ნაკეთობანი, კერამიკული ნაწარმი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფართო ასორტიმენტი, ორთოპედული ნაკეთობანი, ბეჭდვითი პროდუქცია, ავეჯი განსაკუთრებული საჭიროების მოხმარებისათვის, სხვადასხვა დარგების სამეცნიერო ლიტერატურა, მრავალი საქველმოქმედო აქციების შედეგად გამოცემული ჟურნალები, გაზეთები და წიგნები, მათ შორის ჩვენი ჟურნალი, "იმედი+" -ც.

საოცარი ატმოსფერო სუფევდა. დღესასწაულს ჰგავდა ეს ყველაფერი. მათ უხაროდათ. უხაროდათ, რომ ერთმანეთის გვერდი გვერდ იდგნენ, უხაროდათ, რომ ვიღაცამ ისინი შეამჩნია და დაინახა.

უხაროდათ, რომ მათი ნახელავი მოწონებით სარგებლობდა....

სტუმრებს აშკარად ეტყობოდათ კმაყოფილობა. შეიძლება ითქვას, ვერ მალავდნენ აღმოჩენისაგან გამოწვეულ სიხარულს. სად იმაღებოდა ასეთი ნიჭი, სად იმაღებოდა ამდენი საოცრება? თურმერა შესძლებით და არ ვიცოდით, ან ვიცოდით და ძალიან ცოტამ.

ჩვენ გავესაუბრეთ გამოფენა-ფორუმის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს და გადმოგცემთ მათ მოსაზრებებს.

სალომე გარუჩავა. არასამთავრობო ორგანიზაცია "ანიკა".



დალიან მოწონს გამოფენა-ფორუმი. აქ უამრავი კეთილი ნების ადამიანი გავიცანი. რას ვაპირებ შემდეგ? ახლახანს დავამთავრე საშუალო სკოლა და ვაპირებ სასულიერო სემინარიაში გავაგრძელო სწავლა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. რა თქმაუნდა ხვალის იმედი მაქვს. ყველაფერი კარგად იქნება. ესენი კი ჩემი ნამუშევრებია. ჩემით ვაკეთებ თავისუფალ დროს რაღაცრალაცეებს. ძალიან მსურს დავსაქმდე და ჩემი სამსახური მქონდეს.

მაია ბიბილაშვილი. არასამთავრობო ორგანიზაცია "ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება" -ს გამგების თავმჯდომარე.

— მინდა ვთქვა, რომ ძალიან აღრფრთოვანებული ვარ. კოალიციაში როდესაც გაჩნდა იდეა, განსაკუთრებულად აღგვენიშნა 14 ივნისი, ყველანი ძალიან ვლელავდით, რადგან არ ვიცოდით, როგორი გამოგვივიდოდა. ხომ ნარმოგიდგენიათ, პირველად ხდებოდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირების ორგანიზაციები აწყობდნენ მასშტაბურ გამოფენას და პასუხისმგებლობის გრძნობა არ გვასვენებდა. მაგრამ, სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ იდეამ გაამართლა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეგონა ჩვენ, ასეა თუ ისე, ერთმანეთს ვიცოდით, მაგრამ უნდა გამოგიტყვდეთ, ბევრი რამ არ გვცოდნია ერთმანეთის შესახებ და ძალიან კმაყოფილი



ვარ, რომ მომეცა საშუალება უშუალოდ მეხილა მათი ნამოღვანარი, რამაც ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა. ვფიქრობ, რომ ეს გამოფენა-ფორუმი უკვალოდ არ ჩაივლის. სათანადოდ გაშუქდება. დაანახვებს ყველას მათ უსაზღვრო შესაძლებლობებს და, რა თქმა უნდა, გამოძახილიც შესაბამისი იქნება.

**დავით ედიბერიძე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პავშვის მშობელი. თერჯოლა.**

რას მაძლევს ეს გამოფენა-ფორუმი? პირველ რიგში სტიმულს. ამ ხალხის შესაძლებლობების სრუ-



ლი რეალიზაციისა და საკუთარ საზოგადოებაში ინტეგრაციის იმედს. მე მართლაც მჯერა, რომ ეს შესანიშნავი ღონისძიება მომავლისაკენ იმედიანი ხედვის დიდი სტიმულია.

**გიორგი ედიბერიძე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. თერჯოლა.**

ძალიან მნიშვნელოვანია ეს ფორუმი ჩვენთვის, იმიტომ, რომ მოგვცა ჩვენი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება. ქვეყანას დაანახა ჩვენი თავი, ჩვენი უნარები და შესაძლებლობები. მინდა მადლობა გადავუხადო გამოფენა-ფორუმის ორგანიზატორებს და დავუდასტურა მათდამი ჩემი უსაზღვრო პატივისცემა.

**მამუკა ქაცარავა. ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და კულტურის სამსახურის უფროსი.**

ჩვენ, რამოდენიმე ხნის წინ, ინვალიდთა საკითხების შემსწავლელი კომისიის სხდომაზე, რომელიც ქ. თბილისის მერიასთან არის შექმნილი, სამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გადავწყვიტეთ 14 ივნისს აღვენიშნა ისეთი ფორუმი, რომელიც მასშტაბური გამოვიდოდა და, რომელიც სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნებოდა. სწორედ, ჩვენ ამით გვინდა დავიწყოთ. გვინდა საზოგადოებისთვის გასაგები, მისაღები და შეიძლება ითქვას „პოპულარულიც“ კი გახდეს თემა „ინვალიდობა“ და მასთან დაკავშირებული ყველა დადებითი მოვლენა. არა იმ კუთხით, რომელიც აქამდე არსებობდა. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ამ ადამიანებმა თავი იგრძნონ საზოგადოებისათვის საჭირო, თანაბარუფლებიან წევრებად და შეიქმნას ისეთი გარემო, რომ მიეცეთ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. ჩვენი შემოქმედება მიმართული იქნება მხოლოდ ამისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა მხოლოდ ერთ დღეში, ორ დღეში ან ერთ წელიწადში არ შეიძლება ამის გაკეთება. ამას უნდა, კიდევ ვიმეორებ, ძალიან მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, პრინციპული მუშაობა. აღებული კურსიდან არავითარ შემთხვევაში არ გადახვევა და დღევანდელი დღე ამ ნიშნით მიმაჩნია ძალიან მნიშვნელოვნად. დღეს, პრაქტიკულად წარმოდგენილია ყველა ის არასამთავრობო ორგანიზაცია, სადაც მეტნაკლებად დასაქმებულია ამ კატეგორიის ადამიანები ან ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ინვალიდობის პრობლემებზე და საშუალება მოგვეცა გავვეცნო მათი შესაძლებლობები. ამ ფორუმმა მოგვცა ერთგვარი დათვალიერების საშუალება და საბედნიეროდ, კიდევ ერთხელ დაგრნემუნდით მათ უსაზღვრო შესაძლებლობებში, რომელსაც აუცილებლად სჭირდება საზოგადოებრივი და რა თქმა უნდა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. ამიტომაა დღევანდელი ფორუმი მნიშვნელოვანი, რომ აქ გამართულ ყველა დისკუსიას, ყველა დებატს დეტალურად განვიხილავთ შემდგომი საბჭოს სხდომაზე და ყველა წამოჭრილი საკითხი, რომელიც დღეისათვის გადაწყვეტადია და ამისი შესაძლებლობა სახელმწიფოს აქვს, აუცილებლად გადაიჭრება. ეტაპობრივად იქნება გაკეთებული და ყოველგვარ პროგრესულ წამოწყებას ჩვენ მხარს დავუჭროთ.

**გიგი წერეთელი. საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი.**

ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მათი სოციალური რეაბილიტაციის პოლიტიკის გატარება. ამ ადამიანებს გააჩნიათ უდიდესი პოტენცია და შეიძლება გამოყენებული იქნას მათი კეთილდღეობისათვის და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის. ეს გამოფენა-ფორუმიც ამის დასტურია. ბევრი მაგალითი გვაქს ქვეყანაში, როცა მათი უნარის გამოყენება ძალიან კარგად შეიძლება. მთავარია, იყოს კარგი და სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. ჩვენ ახლა



გვაქვს ასეთი პოლიტიკა, რომელიც შევიმუშავეთ ინვალიდთა ორგანიზაციებთან ერთად და მოვახდენთ მის რეალიზაციას, რათა თვისობრივად მაღალ დონეზე ავიდეს ქვეყანაში ინვალიდთა ცხოვრება, ამაღლდეს მათი ცხოვრების სტანდარტები და რაც მთავარია, შეიცვალოს საზოგადოებაში მათდამი, ჯერ კიდევ არსებული დამოკიდებულება. ახლახანს ხელი მოეწერა კანონს, რომლითაც საქართველო მიუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ინვალიდთა უფლებების დაცვის შესახებ. აგრეთვე, ჩვენ მივიღეთ სპეციალური სახელმწიფი პოლიტიკის დოკუმენტი, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა "ინვალიდთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია", რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში აუცილებლად გავატარებთ.

#### **იოსებ მელაშვილი. გორის ინვალიდთა კლუბი.**

ჩემი აზრით, ძალიან საჭირო ღონისძიებაა. საჭიროა, იმიტომ, რომ ჩვენი ნამუშევარი ხალხმა გაიცნოს, შეაფასოს ჩვენი შესაძლებლობები და მერე მიხვდებიან, ვინ ვართ და რანი ვართ.... კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ხალხში გავდივართ, ხალხთან ვურთიერთობთ. პირველ რიგში ჩვენთვის ესაა აუცილებელი.

**ლადო ასლამაზიშვილი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეწარმეთა დასაქმების კავშირი. თბილისი.**

დღევანდელი ღონისძიება დადასტურებაა საზოგადოებაში უკვე არსებული იმ აზრისა, რომელიც აღიარებს ინვალიდთა უფლებებს, თანასწორობას და ღირსეულ ცხოვრებას. ეს კი დღევანდელი რეალობის შედეგია. დღეს აქ წარმოდგენილია 42 ორგანიზაცია და ყველას გამოტანილი აქვს თავისი ნამუშევარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი არ არის გულებულდაკრეფილი. ეს ხალხი მუშაობს, ეს ხალხი არსებობს თავისი შრომით, თავისი მოღვაწეობით და ამას უნდა სათუთი მოპყრობა. საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომ ამ ადამიანებმა დამოუკიდებლად შესძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია. მაგრამ ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ვინმე რამეს ჩუქნიდეს. ეს ყველაფერი დაბრუნდება საზოგადოების საკეთილ-

დღეოდ, ეს იქნება ისეთი ინვესტიცია, რომელიც სასიკეთოდ დაუბრუნდება საზოგადოებას და რა თქმა უნდა ქვეყანას, აბა შეხედეთ, იმდენად ნატიფად და მაღალხარისხოვნად არის შესრულებული მათი ნამუშევარი, მრავალი პრესტიული ფირმა იამაყებდა ამით. დამერწმუნეთ, ეს ნამდვილად ასეა. ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია. ჩვენ ხელგვენიფება წვლილი შევიტანოთ სახელმწიფოს განვითარებაში.

**ლალი გიორგაძე. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.**



ვფიქრობ, რომ საინტერესო და შედეგიანი დღე არის. შესაძლებლობისდა გვარად დავესწარი დებატებსაც. ცუდი ის იყო, რომ ყველაფერი ერთდღოულად მიმდინარებდა, მაგრამ ჩემი აზრით, საკმაოდ საინტერესო დებატები გაიმართა. ჯანმრთელობის სამინისტროსთან იმსჯელეს საკმაოდ მტკიცნეულ და საინტერესო საკითხებზე. დღევანდელობის გადმოსახედიდან იმედი მესახება, რომ ნელნელა გამოსწორდება არსებული სიტუაცია. ეს არ არის ერთჯერადი პროცედურა. ინვალიდობის პრობლემების გამოსწორებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდება და ამ საქმეში სახელმწიფოსთან ერთად, ყველა მოქალაქე, ყველა ღირსეული ადამიანი უნდა ჩაებას და თავისი სიტყვა თქვას. ეს ხომ ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია.

**ზაზა სიხარულიძე. ლოთისშვილთა კავშირის პრეზიდენტი.**

დღევანდელი დღე, ინვალიდთა ფორუმი, რომლის პროგრამაშიც შედიოდა მათი ნამუშევრების გამოფენა, დებატები, კინოფილმების ჩვენება ინვალიდობის პრობლემებზე და ა.შ., არის მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი ნიჭის შედეგი და ეს ყველამ უნდა დაინახოს, თუნდაც იმიტომ, რომ იცოდნენ, რა შეუძლიათ ამ ხალხს.

საქართველოში ინვალიდთა მოძრაობას 20 წლის წინ, მე და ჩემი მეგობარი, გიორგი ძნელაძე ჩავუდექით სათავეში. დღევანდელი ღონისძიება, შეიძლება ითქვას, არის ამ ოცი წლის მუშაობის შედეგების დათვალიერება. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მართლაც და თავდაუზოგავ მუშაობას. ამიტომ, მიმართია, რომ დღევანდელი დღე ყველას დამსახურებაა.

ახლა კი პირველ რიგში ჩასატარებელია სისტემური ცვლილებები. როგორც ვიცით, ჩვენმა პარლამენტმა მიიღო საქართველოში ინვალიდთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია. აგრეთვე, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დადგენილებას გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მიერთების შესახებ. როგორვ ვხედავთ, ჩვენი სახელმწიფო გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს ქვეყანაში ინვალიდთა უფლებების დაცვის და მათი ცხოვრების პირბების ამაღლებისათვის. ამისათვის კი საჭიროა შემუშავდეს კონვენციისა და კონცეფციის შესაბამისი სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც აუცილებელი და აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ღირსეული ცხოვრებისათვის. მე ახლავე შემიძლია გითხრათ თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართებით, მაგრამ უმჯობესია ამის შესახებ კოალიციაში ვიმსჯელოთ ჩემს მეგობრებთან ერთად. თუმცა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩასატარებელია ძირეული რეფორმები.

## გიორგი ძნელაძე. „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პრეზიდენტი.

მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული ღონისძიება ახალი არ არის. 14 ივნისს, საქართველოში ინვალიდთა უფლებების დაცვის დღეს და 3 დეკემბერს, ინვალიდთა საერთაშორისი დღეს, ჩვენ ყოველწლიურად აღვნიშნავთ და მიღებული აქვს ტრადიციული ხასიათი.

ვთვლით, რომ ჩვენ გავიზარდეთ და რომ წარმოგვეჩინა ეს ყველაფერი, გადავწყვიტეთ უფრო მასშტაბურად აღვენიშნა საქართველოში ინვალიდთა უფლებების დაცვის დღე. ზრდაში ვგულისხმობ, არა მარტო ორგანიზაციათა სიმრავლეს, არამედ მათი მოღვაწეობის ხარისხობრივ ზრდასაც. ამაზე მეტყველებს ეს ციფრებიც. აბა დააკვირდით. გამოფენა-ფორუმში მონაწილეობდა 42-ზე მეტი ორგანიზაცია, რომელებმაც წარმოაჩინეს თავიანთი პროექტები და გამოიტანეს საკონკურსოდ, საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 30 ფილმი, რომლებიც ეხებოდა ინვალიდობის პრობლემებს, წარმოდგენილი იყო 70-ზე მეტი ფოტომასალა, მრავალი სტატია და პუბლიკაცია ინვალიდთა ცხოვრებაზე, ჩატარდა დებატები, სადაც მონაწილეობდა მრავალი კერძო პირი და ორგანიზაცია, წლის ლობისტის ნომინაციაზე დასახელდა 46 ადამიანი. ეს მრავლის მეტყველი ციფრებია. კომპენტენტურმა უიურიმ, რომელიც გამოჩენილი ადამიანებისაგან შედგებოდა, გამოავლინა გამარჯვებულნი ნომინაციების მიხედვით. აქვე მინდა გამოვხატო მადლიერება ჩემი წარმოჩენისათვის, ნომინაციაში—წლის ლობისტის მონიქებისათვის, ეს განხეული შრომა ჩემი ყოველდღიური ცხოვრების წესია, მაგრამ, რომ დაგაფასებენ, მაინც ერთგვარად სასიამოვნოა.

გამოფენა-ფორუმი მასმედიის მიერ კარგად იყო გაშუქებული. ვფიქრობთ, რომ ეს ტრადიცია უნდა

გაგრძელდეს და ყოველწლიურად ჩატარდეს მიზნობრივი, თემატიური გამოფენა-ფორუმები, რადგან, როგორც ამ გამოფენა-ფორუმზე დავინახეთ, კარგი საშუალება საზოგადოებაში ერთმანეთში გაცვალოს ინფორმაცია, უფრო აქტიურად განავითარონ თავიანთი საქმანობა და ურთიერთ დამოკიდებულება. ჩვენ შევეცდებით მომავალში კიდევ უფრო შინაარსიანი ღონისძიება გავაკეთოთ. შეიძლება ჩატარდეს უფრო სხვანაირი ფორმით, დავხვენოთ, დავამატოთ ის სიახლეები, რაც მოცემული დროისათვის აქტუალური იქნება. და ა.შ. ასეთი ღონისძიებები ძალიან კარგია ინვალიდობის მიმართ საზოგადოების ცნობიერების შეცვლისათვის, რაც ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა საზოგადოებაში „ინვალიდობის“ მიუღებლობისა. უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ხდება საზოგადოებაში რომელიმე კატეგორიის ადამიანების მარგინალიზაცია. ამიტომ, ამ სტერეოტიპის რღვევას, რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებები ძალიან უწყობს ხელს.

და ბოლოს, ძალიან დიდი მაღლობა მინდა მოვახსენო ორგანიზაცია გადავარჩინოთ ბავშვების (Save The Children) და ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID-ის) ხელმძღვანელობას ასეთი გრანტიობული ღონისძიების ჩატარებაში დახმარებისათვის. ეს ორგანიზაციები ჩვენი პარტნიორები არიან და მათთან ხანგრძლივი თანამშრომლობა გვაკავშირებს, რომელიც იმედია დიდხანს გაგრძელდება. დიდი მადლობა ჩვენი დედაქალაქის მერიას და მის ხელმძღვანელს ბატონ გიგი უგულავას გულწრფელი თანადგომისათვის და ფინანსური მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა ყველა იმ ორგანიზაციას და კერძო პირს, ვინც დაგვეხმარა და ხელი შეგვიწყო ამ სამახსოვრო ღონისძიების ჩატარებაში.

ინვალიდობის სფეროში განეული საქმიანობისათვის კოალიციის მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენა:

- გიგი წერეთელი - საქართველოს პარლამენტის ვიცე-პარიკერი;
- მამუკა ქაცარავა - თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი
- ვახტან სურგულაძე - ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სამსახურის უფროსი;
- ჯაბა ებანოიძე - იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი გოგუაძე - საქართველოს პარლამენტის წევრი;
- ტარიელ ხიზანეიშვილი - ქ. თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსი;
- სოზარ სუბარი - სახალხო დამცველი;
- ნათია დეისაძე - Save the children, პროექტის დირექტორი;
- გიორგი დათუნაშვილი - ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- თინათინ შელია - ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო

სამსახურის ინფორასტრუქტურის მართვის განყოფილების უფროსი;

- ოთარ თოიძე - საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე;

- დათო ლომიძე - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

- მაგდა ანიკაშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი;

- მაია ირემაშვილი - საჯარო რეესტრი;

- გოგა კოხოვიძე - უფლებათა დამცველი, დამოუკიდებელი ექსპერტი;

- ლაშა უვანია - ეკონომიკური განვითარების მინისტრი;

- აჩიკო გეგენავა - საქართველოს პარლამენტის წევრი;

- ლადო ჭელიძე - შპს "დოქტორ რედგერ სერვისენეჯმენტი";

- რუსულან კერვალიშვილი - საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი;

- ქეთევან ყაჯრიშვილი - ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

- ალექსანდრე ჩიკვაძე - დამოუკიდებელი ექსპერტი;

- გიგი თევზაძე - ილ. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

პირველი გამოფენა-ფორუმის მეშვეობით ინვალიდობის თემაზე მომუშავე მრავალი ორგანიზაცია გაეცნო ერთმანეთს, რაც მომავალში მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს!

ნომინაციაში გამარჯვებულები გამოფენა - ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტისა და კომპეტენტური ჟიურის წევრებთან ერთად აშშ-ს ელჩმა საქართველოში, ბ-ნმა ჯონ ტეფტმა და ქ. თბილისის მერმა, ბ-ნმა გიგი უგულავამ დააჯილდოვეს სპეციალური პრიზებითა და საპატიო სიგელებით.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აშშ-ს ელჩმა საქართველოში, ჯონ ტეფტმა, ქ. თბილისის მერმა გიგი უგულავამ და კოალიციის გამგეობის თავმჯომარემ გიორგი ძნელაძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ქ. თბილისის მერიას განეული დახამრებისთვის, რომლის გარეშეც გამოფენა-ფორუმი ვერ შედგებოდა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, რომლის მხარდაჭერითაც ხორციელდება პროექტი „თანაბარი პირობების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის“ და გამოფენა-ფორუმის თანაორგანიზატორებს კოალიციასთან ერთად-ფედერაციას „გადავარჩინოთ ბავშვები-ს“, რომლის პარტნიორობითაც კოალიციამ არაერთ წარმატებას მიაღწია ინვალიდობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის, სოციალური ინტერაციისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ნომინაციებში გამარჯვებულებად კი შემდეგი პირები და ორგანიზაციები დასახელდნენ:

- ინვალიდობის თემაზე შექმნილი საუკეთესო ფორუმი ავტორი - ანა ჯალალონია („წყვილი ზღვაზე“);

- საუკეთესო ტელე-სიუშეტის ავტორი - გიორგი გვიშავი (რუსთავი 2, გადაცემა „პოსტსკრიპტუმი“);

- საუკეთესო სტატია - თამარ ბაბუაძე - (უურნალი „ცხელი შოკოლადი“, სტატია: "რატომ და როგორ უნდა შევიცვალოთ მე და თქვენ");

- საუკეთესო სახელმწიფო პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (პროექტით ინკლუზიური განათლების დანერგვა თბილისის 10 საპილოტე სკოლაში);

- არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საუკეთესო პროგრამა - პირველი ნაბიჯი;

- წლის ლობისტი - გიორგი ძნელაძე (კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, გამგეობის თავმჯომარე);

- საუკეთესო რეგიონული პროექტი - ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (პროექტით: „განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის“);

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - სოფო კალანდაძე (ფილმი „რიკარდო და ფიოდორა“);

- ჟიურის განსაკუთრებული პრიზი - სამან თურანი („ჯეოსელის“ გენერალური დირექტორი. ინვალიდობის მქონე ადამიანების დასაქმებისთვის);

- ჟიურის განსაკუთრებული პრიზი - ჯაბა ებანოძე (იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ეტლით მოსარგებელ პირთა დასაქმების პროგრამისათვის).

ფიჭური კავშირგაბმულობისკომპანიამჯეოსელმა კი, რომლის კოორპორაციული ფერი (იასამნისფერი), იმავდროულად ინვალიდობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და სოლიდარობის საერთაშორისო ფერს წარმოადგენს, ქსელში ჩართული მობილურით დააჯილდოვა საქართველოს ინვალიდ ქალთა ასოციაციის წევრი ნათია გოგორიშვილი და კომპანიის გაზეთში მუშაობა შესთავაზა.

**ირმა ცეკიტიშვილი. ფირმა ჯეოსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.**

სოციალური პასუხისმგებლობა, ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არის კომპანიის ერთგვარი სავიზიტო ბარათი. არ შეიძლება იყო ძლიერი და წარმატებული თუ არ გექნება სოციალური პასუხისმგებლობისადმი ერთგვარი, მართლაც პასუხისმგებლური დამოკიდებულება და ჩვენ ვცდილობთ ეს იყოს აქტუალური არა მარტო კომპანიისათვის, არამედ, მისი აპონენტებისთვის. ეს დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, ვითარდებოდა და ქვეყნისათვის მრავალ სასარგებლო აქციაში გამოიხატა. მაგალითად, საზოგადოებისათვის

კარგად ცნობილ იყალთოს აკადემიის აღდგენით სამუშაოებს მოვიყვან და ვამაყობთ, რომ დღემდე მოვდივართ ასეთი აქტუალური პროექტებით.

რაც შეეხება ნათია გოგორიშვილს, ეს ყველა-ფერი ძალიან მარტივად მოხდა. როდესაც ჩვენ შევიტყვეთ, რომ კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის დაინტერესებულია ჯეოსელის სოციალური პროექტებით და უნდა გადმოეცათ სიგელი, ბუნებრივია ჩვენ გავეცანით ამ შეტყუბინების დედაარსს და აქედან გამომდინარე ჩვენ ხელში მოგვხვდა ნათიას დაწერილი სტატია, რომელიც ძალიან მოგვეწონა. შემდეგ ნათიაც გავიცანით და გადავწყვიტეთ სიურპრიზი მოგვეწყო მისთვის, რამაც, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. ჯეოსელის სახელით გულწრფელად ვუსურვებ ნათიას წარმატებებს და ბედნიერებას.

გამოფენა-ფორუმმა ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. საზოგადოების ცნობილი პირები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ წარმოდგენილ ექსპონატებს. როდესაც გვესაუბრებოდნენ გამოფენა-ფორუმის ორგანიზატორები, მონანილენი და სტუმრები, ყველა ამაღლებელი პათოსით ლაპარაკობდა და რაღაცნაირი ნაპერნეალი ულვივოდათ თვალებში. ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომ მე მჯეროდა უკეთესი ხვალინ-დელი დღის დადგომის. დიდი მაღლობა გამოფენა-ფორუმის ჩატარების ორგანიზატორებს ასეთი ლამაზი დღისათვის, სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომნადგენლების თავმოყრისათვის, მათი ნიჭისა და შესაძლებლობების წარმოჩენისათვის და ბოლოს, იმ იმედისათვის, რომელიც ყველა ჩვენგანს გაუჩინეს გულში. მაში დავიმახსოვროთ 14 ივნისი, საქართველოში იწვალიდთა უფლებების დაცვის დღე.

## საქართველოს პრეზიდენტისა გაეროს 2006 წლის კონვენციას ხელი მოაწერა



2009 წლის 14 მაისს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციას" და ფაკულტატიურ ოქმს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა - განკარგულება 331

ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ უახლოეს მომავალში გაეროს 2006 წლის კონვენცია საქართველოს პარლამენტში გადაიგზავნება რატიფიკაციისათვის, რაც თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნისათვის, პირობების გათანაბრებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობისთვის რეალურ საფუძველს შექმნის.

კოალიცია "დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" მიესალმება გაეროს ხსენებული კონვენციის რატიფიცირებას და გამოთქვამს დიდ სურვილს, რომ საქართველო კონვენციით გათვალისწინებულ სამოქმედო გეგმაზე მაღე გადავა, რაც მყისიერად შეუწყობს ხელს ინვალიდობის მქონე ადამიანების კეთილდღეობას ქართულ საზოგადოებაში.

## პროექტი უსინათლოთათვის

ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“ დააფინანსა საქართველოს უსინათლოთა კავშირის ბიზნესისა და სოციალური პროგრამების სამსახურის მიერ (უფროსი თამაზ მუქერია) წარდგენილი „უსინათლო მუსიკოსთა შემოქმედებითი თანამშრომლობის“ საერთაშორისო პროექტი, რომლის მიზანია საქართველოსა და სომხეთის უსინათლო მუსიკოსთა დაახლოება, ეროვნული კულტურის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება, შემოქმედებითი კვალიფიკაციის ამაღლება. პროექტი რვათვიანია. მასში მონაწილეობას მიიღებს ორი ქვეყნის 50 წარმომადგენელი. მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ საქართველოს დიდ ქალაქებში ჩატარდება ერთობლივი კონცერტები. საქართველოს უსინათლოთა კავშირის დასასვენებელ სახლში გაიმართება ფესტივალი, რომელზეც გამოვლინდებიან საუკეთესო მომენტები.

# როგორ მოვუაროთ ჯაგრის

ნატო მახარობლიდა

ექიმი—სტომატოლოგი

ყველა ჩვენგანმა იცის, რომ პროფილაქტიკა უფრო იოლია, ვიდრე მისი მუკურნალობა. როგორ ავიცილოთ თავიდან კბილისა და პირის ღრუს ლორნოვანი დაავადება?; ბოლო რამოდენიმე წელია სტომატოლოგიურ კლინიკებში გამოჩნდნენ ექიმ—ჰიგიენისტები, რომელთა მოვალეობაში შედის პროფესიონალური ჰიგიენური პროცესების ჩატარება და პაციენტებისათვის პირის ღრუს ჰიგიენური პროცედურების სწავლება.

სწორედ ყოველდღიური პროცედურები წარმოადგენს კბილების სიჯანსაღის წინა პირობას.

რა გვჭირდება ამისათვის?

- კბილის ჯაგრისი;
- კბილის პასტა;
- ენის ჯაგრისი;
- ფლოსი (კბილის ძაფი) და
- 6 წუთი სააბაზანოში.

## პპილის პასტა

ჯერ კიდევ 300-400 წლით ადრე ჩვენს წელთაღიცხვამდე, აზის, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლები ღეჭავდნენ არომატულ მცენარეებს, ხოლო ამ მცენარეების გახლეჩილი ღეროებით იწმენდნენ კბილებსა და ღრძილებს. ჩინეთში კი კბილებს ღორის თმის ჯაგრისით იწმენდნენ, რომელიც წარმოადგენს კიდეც თანამედროვე ჯაგრისების წინამორბედს.

დღეისათვის არსებობს ჯაგრისის ფართო არჩევანის შესაძლებლობა. ისინი განსხვავდებიან ზომით, თავისი ფორმით, ხასიათით, ტარის დიზაინით და სიხისტით. ჯაგრისის თავი შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის; ბავშვებისათვის რეკომენდირებულია 18-25მმ, უფროსებისათვის 25-30 მმ-მდე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჯაგრისის ჯაგრულებს. არსებობს სინთეზურ ბოჭკოებიანი და ბუნებრივ ბოჭკოებიანი ჯაგრისები. ვინაიდან ბუნებრივ ბოჭკოებში კარგად მრავლდებიან მიკროორგანიზმები, მათი გამოყენება არ არის რეკომენდირებული.

არსებობს ინდიკატორიანი ჯაგრისები. მათი ჯაგრულების რამდენიმე რიგი შეღებილია. თუკი ასეთი ჯაგრისის ჯაგრულებს საღაბავი ნაწილობრივ მაინც გაეცალა, ე.ი. საჭიროა შევცვალოთ.

ჯაგრისებს განარჩევენ სიხის-

ტის მიხედვით. მაგარ და ძალიან მაგარ ჯაგრისებს იყენებენ აბსოლიტურად ჯანმრთელი კბილების მქონე ადამიანები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იყენებს საშუალო სიხისტის ჯაგრისებს. ბავშვები და ღრძილების დაავადების მქონე პირები იყენებენ რბილ ჯაგრისებს. მათი შერჩევა ხდება ინდივიდუალურად ექიმის მიერ და ბოლოს, ტარის დიზაინის შერჩევა კი თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული.

## პპილის პასტა

ინდურ სამედიცინო ტრაქტაზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წლის წინათ დაიწერა, მოხსენებულია ფხვნილები, რომლებიც პერიოდისა და ნატურალური მუსკულური საფუძველზე მზადდებოდა. ასევე იყენებდნენ ხის ნახშირს, ფისა, მცენარეთა ფესვებს და კაკაოს მარცვლებს. თანამედროვე პირობებში დამზადებულ საწმენდებს აქვთ კარგი შეფუთვა, არომატი, პიკანტური გემო, სამკურნალო თვისებები და ენოდება კბილის პასტა. იმის მიხედვით თუ რა აქტიურ კომპონენტებს შეიცავს, არსებობს შემდეგი სახეობის კბილის პასტები:

1. კარიესის საწინააღმდეგო;
2. ღრძილების ანთების საწინააღმდეგო;
3. კბილის მომატებული მგრძნობელობის საწინააღმდეგო;
4. მათეთრებელი და
5. კბილებზე ნადების წარმოქმნის საწინააღმდეგო პასტები.

არ არის რეკომენდირებული ერთიდა იგივე კბილის პასტის მუდმივად გამოყენება.



## ენის ჯაგრისი

პირის ღრუდან უსიამოვნო სუნის მიზეზია კბილებისა და საჭმლის მომნელებელი სისიტემის ქრონიკული დაავადებები, მაგრამ ამის გამომწვევი მიზეზი ხშირად ენა; უფრო ხშირად, ენის ზედაპირზე არსებული საკვების ნარჩენები და დიდი რაოდენობით ბაქტერიებია.

ამ პრობლემის მარტივად გადაწყვეტა ენის საწმენდი ჯაგრისის საშუალებით ხორციელდება; ჯაგრისა ათავსებენ ენის ძირთან ახლოს და ენაზე მსუბუქი დაჭერით წინა მიმართულებით ამოძრავებენ. ენის გაწმენდა განსაკუთრებით ესაჭიროებათ თამბაქოს მწეველებს. აღნიშნული უბრალო, მაგრამ ეფექტური მეთოდია პირის ღრუს ჰიგიენური პროფილაქტიკისათვის.

## კბილის ძაფი

ფლოსი (კბილის ძაფი) გამოიყენება კბილთაშორისი ზედაპირებიდან საკვების ნარჩენებისა და

ნადების მოსაშორებლად. ფლოსი არის გაპოხილი და გაუპოხავი. ეს უკანასკნელი გამოიყენება კბილების მჭიდრო განლაგებისას. მეჩერი თანკბილვისა და დიდი რაოდენობის კვების დროს გამოიყენება გაპოხილი კბილის ძაფი.

გარდა ამისა ზოგიერთი ძაფი დაფარულია ფტორიდებით, რაც გვიცავს საკონტაქტო ზედაპირზე კარიესის გაჩენისაგან. არსებობს აგრეთვე მენთოლიანი კბილის ძაფი.

## ექვსი ფუთი სააბაზანოში დღეში ორჯერ

რატომ ექვსი წუთი?

- სამი წუთი ჯაგრისით კბილების გახეხვა;
- ორი წუთი ფლოსის გამოყენება;
- ერთი წუთი ენის გაწმენდა.

მაშ ასე, სულ ოორმეტი წუთია დღეში საჭირო, რომ შევინარჩუნოთ ჯანმრთელი კბილები და ღრძილები.

## ხერხემლის ზრავა

ადამიანები ბავშვობიდან იცნობენ ტრავმებს. ვინ არ დაცემულა ან არ გაუჭრია ხელის თითები? მათი შედეგები მალე გაივლიდა და ბუნებრივია მალე გვავინყდებოდა კიდეც. მაგრამ, არსებობენ ტრავმები, რომლებიც მთლიანად ცვლიან ადამიანების ბედს და იწვევენ სავალალო შედეგებს. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია ხერხემლის დაზიანებას. ხერხემლის სვეტი ყველა მოძრაობაში მონაწილეობს. იგი, აგრეთვე იცავს ზურგის ტვინს და ამიტომ, ხერხემლის ტრავმა, ხშირად რთულდება ზურგის ტვინის დაზიანების გამო.

ხერხემლის და ზურგის ტვინის ტრავმების გამომწვევ მიზეზთა შორის, პირველ ადგილს იკავებს ავტოვარიები. ტიპიური შემთხვევაა ავტომობილების დაჯახება. ამ სავალალო ნამს, დაჯახების მომენტში ადამიანის თავი ინერციით აგრძელებს მოძრაობას წინ, ხოლო უმოძრაოდ დარჩენილი ტანი ქმნის საყრდენ წერტილს, რომლის შედეგებად წარმოებს კისრის მკვეთრი მოხრა და ერთი ან რამოდენიმე მალა ან მალთაშორისი დისკი იჭეჭყება. ასეთმა დაზიანებამ კიდევაც მიიღო სახელწოდება კისრის ნაწილის „შოლტისებური ტრავმა“. ავტომობილის დაჯახებით გამომწვეული შემდეგი ტრავმაა ხერხემლის მკერდის ნაწილის დაზიანება. ეს ტრავმა ხშირად შეინიშნება უსაფრთხოების ქამრების ხმარების დროს. შეჯახების მომენტში უსაფრთხოების ქამრის საშუალებით მგზავრის სხეულის ქვედა ნაწილი შებოჭილია და ამის გამო სტატიურ მდგომარეობაშია, ხოლო ზედა ნაწილი აგრძელებს მკვეთრ მოძრაობას წინ და ხერხემლის მკერდის ნაწილის მალები ვეღარ უძლებენ ამ ძლიერ დატვირთვას. ხშირ შემთხვევაში, მალების ნამტვრევები ან მალთაშუა

დისკოს ფრაგმენტები აწვებიან ზურგის ტვინს, რის შედეგადაც წარმოიქმნება დამბლა.

მოდით, მივატოვოთ სახითაო გზების მოსახვევები და გადავინაცვლოთ წყნარ ტყეში. დადგა ხალისიანი ზაფხული. შვებულების, პიკნიკების, არდადეგების დრო. სიცხეა. ოჟ, რა კარგი იქნება მდინარეში, ტბაში ან ზღვაში გადაშვება, ღრმად ჩაყვინთვა და გაგრილება. მაგრამ, ზოგიერთი ველარ ახერხებს ამოყვინთვას და წყლიდან ახლოს მყოფი ადამიანების ამოსაყვანი ხდება. იქ დიდი ხიფათია. ექიმებს აქვთ ასეთი გამოთქმა - „მყვინთავი პაციენტები“, ეძახიან იმათ, რომლებმაც მიიღეს ხერხემლის კისრის ნაწილის ტრავმა წყალში ხტომის დროს. რატომაა ამ დროს ადამიანი ასე დაუცველი? წყალში ხდება ტანისა და კისრის კუნთების მთლიანი მოდუნება. უცნობ ადგილზე ხშირად აღმოჩნდება თავთხელი ან ქვიანი ადგილი. თავით მდინარის ფსკერზე დაჯახების დროს მოდუნებულ კუნთებს არ შეუძლიათ კისრის კუთების გამაგრება, ხდება მისი მკვეთრი მოხრა და წარმოიშობა ხერხემლის კისრის ნაწილის ტრავმა.

რა შეუძლია მედიცინას ისეთი რთული ტრავმის განკურნებისათვის, როგორიცაა ხეხემლის მოტეხილობა? საბედნიეროდ, შეუძლია ბევრი. თანამედროვე მეთოდებით ხერხემლის ტრავმის მკურნალობა ძალიან ეფექტურია. ხერხემლის სერიოზული ტრავმის დროს უტარებენ ქირურგიულ ოპერაციას. ტიტანის კონსტრუქციით ამაგრებენ დაზიანებულ მალებს, რომლის წყალობითაც პაციენტს ოპერაციიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ შეუძლია გავლა.

## მისახლი გამოფენა - გაყიდვა

მიმდინარე წლის 12-13 ივნისს გალერეა „პობი“-ს საგამოფენო დარბაზში კავშირმა „ბერილუსი“ ჩაატარა მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა, რამაც საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია.

ჩვენ ვეწვიეთ გამოფენის ორგანიზატორებს და გავესაუბრეთ პროექტ „ბერილუსი“-ს დირექტორს ირაკლი ნადირაძეს

ბატონო ირაკლი, ვისი ორგანიზებულია და რას ისახავს მიზნად გამოფენა გაყიდვა.

— გამოფენა—გაყიდვა ჩატარდა პროექტ „ბერილუსი“-ს ინიციატივით. თავდაპირველად ეს კავშირი ჩამოყალიბდა სტუდენტური საინიციატივო ჯგუფის მიერ და მიზნად დაისახა მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის შეგვეთავაზე-



ირაკლი ნადირაძე და ირაკლი სუსლოვი

ბინა ისეთი საქმიანობა, რომელიც დაეხმარებოდათ თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, ჩამოყალიბებდათ ადამიანებთან ურთიერთობის და მათთან ერთად მუშაობის უნარ-ჩვევებს, ხელს შეუწყობდა მათ თვითრეალიზაციას და საბოლოო ჯამში საზოგადოებაში ინტეგრაციას. შემდეგ, ამ სტუდენტურმა საინიციატივი ჯგუფმა შეასრულა რა თავისი ფუნქცია, ჩამოყალიბა გამგეობა, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ.

შემდეგ გავხსენით ინფორმატიკის, კულინარიის, უცხო ენების, დიზაინისა და ხალხური სიმღერის წრეები, სადაც გაერთიანდნენ წყნეთის ბავშვთა სახლის, თბილისის 200-ე საჯარო სკოლა-პანსიონის, ბავშვთა სახლი „ლამპიონი“-ს, თბილისის 198-ე საჯარო სკოლის და ბავშვთა სახლი „სათნოება“-ს აღსაზრდელები.

იმისათვის, რომ მოხდეს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა უნარ-ჩვევების წარმოჩენა და

იმ სტერეოტიპების რღვევა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მოცემული კატეგორიის ბავშვების მიმართ, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ამ წრეებში გაერთიანებული ბავშვების მიერ ფოტოგრაფიის საშუალებით აღმუშალი სამყაროს და ხელგარჯილობის შედეგად შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ორი დღის მანძილზე მრავალი დამთვალიერებელი ესტუმრა ამ გამოფენას. მინდა გითხრათ, რომ ბავშვთა ნამუშევრების გარკვეული ნაწილი გაიყიდა და შემოსული თანხები მოხმარდება თვით ბავშვების წახალისებას. თუ როგორი ფორმით მოხდება მათი წახალისება, ამას გამგეობა გადაწყვეტს. გამოფენა-გაყიდვამ საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია და რა თქმა უნდა ჩვენ ვეცდებით შემდგომში კიდევ უფრო გავამრავალფეროვნოთ მისი პროგრამა.

ასევე, ჩვენს წრეებში გაერთიანებული ბავშვების ძალისხმევით, ჩავატარეთ ისეთი ღონისძიება, როგორიცაა „დღეს ჩვენ ვიქნებით თქვენი მასპინძლები“, სადაც ბავშვებმა ერთობლივად დადგეს სპექტაკლი და შესთავაზეს მაყურებელს. ამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ შეექმნათ და ეჩვენებინათ თავიანთი შემოქმედება ფართო საზოგადოებისათვის. ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ თვით დამკვიდრებას.

ჩატარდა კიდევ ღონისძიება, სადაც ბავშვების მიერ გაკეთებული ჩურჩელები გადაეცათ აგვისტოს მოვლენებში დაზარალებულ დევნილებს, რითაც მათ დიდი სიხარული განიცადეს.

ფინანსური დახმარება გაგვინია საერთაშორისო ორგანიზაციამ „OSI“-მ, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

აღნიშნული ორგანიზაციებიდან შევარჩიეთ ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა სახით დავასაქმეთ. მაგალითად „ბერილუსის“ გააჩნია ვებ-გვერდი, რომლის ადმინისტრატორია ირაკლი სუსლოვი, ასევე აქტიურად მოღვაწეობს სალომე აბსავა, რომელიც დასაქმებულია კულინარიის კლუბში და ა.შ



# ადამიანის ჯანმრთელობას მოძრაობა ქმნის

იგორ დოლიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენერგოინფორმაციულ მეცნიერებათა  
საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური  
მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლეს, რო-  
გორც ყველა ცოცხალი არსების ცხოველმოქ-  
მედებისა და მათ ორგანიზმში მიმდინარე  
ფიზიოლოგიურ პროცესებს წარმართავს ფიზიკუ-  
რი აქტივობა (მოძრაობა). მოძრაობის შეზღუდვა  
ანუ უმოძრაობა ენინააღმდეგება სიცოცხლის  
დინამიური დაცვის პრინციპებს, უფრო კონკრე-  
ტულად, ბუნების მიერ დანესებულ ბიოლოგოურ  
(ეცოლუციურ) კანონებს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუ-  
ნეში, ფრიდრიხ ენგელსი სამართლიანად აღნიშნავ-  
და: „სიცოცხლე არის მოძრაობა და იქ, სადაც არ  
არის მოძრაობა, არც სიცოცხლეა“.

ადამიანის მოძრაობათა მრავალსახეობა, ხატო-  
ვანი გამოთქმით შეიძლება მივამსგავსოთ „გასა-  
დების ასხმას“, რომელსაც შეუძლია მიზანმიმარ-  
თულად გახსნას ორგანიზმი განთავსებული  
„საწყობები“, სადაც განთავსებულია მხნეობის, ოპ-  
ტიმიზმის, ჯანმრთელობისა და ენერგეტიკული  
მარაგის რეზისურები. ჩვენ, ადამიანებს მუდმივად  
უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური აქტივობა—  
ბუნების მიერ დაკანონებული ბრძანების შეს-  
რულების მოთხოვნილებაა: მისი შესრულება  
აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისათვის,  
რა თქმა უნდა ასაკის, სქესის და ჯანმრთელო-  
ბის ხარისხის გათვალისწინებით. ცნობილი რუსი  
ფიზიოლოგი ი.არშანსკი სამართლიანად მიანიშ-  
ნებდა: „ადამიანი მოძრაობითა და განვითარებით  
ქოქავს თავისი ცხოვრების საათს. . .“

ადამიანის მოძრაობითი აქტივობა ყოველთვის  
იყო, არის და იქნება მისი ორგანიზმის ნორმალუ-  
რი ფუნქციონირების, განვითარების აუცილებელი  
პირობა. არისტოტელეს შეხედულებით: „ადამიანის  
ორგანიზმს ისე არაფერი ცვეთს და არღვევს, რო-  
გორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა. ეს კი  
ნიშნავს იმას, რომ მოძრაობითი აქტივობის სრული  
გამოთხვა ან მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა ადა-  
მიანის ორგანიზმზე დამღუპველად ზემოქმედებს.“

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ერთ  
რამეს ვერ აცნობიერებს, იმას, რომ ყოველი მათ-  
განის ჯანმრთელობა მათ პიროვნულ თვისებებზეა  
დამოკიდებული და ორგანიზმს განსაკუთრებული  
მოვლა-პატრონობა სჭირდება, დაწყებული აკვ-  
ნის პერიოდიდან და დამთავრებული სიცოცხლის



უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ადამიანებს უნდა ახსოვდეთ ის, რომ მათი ჯანმ-  
რთელობა იწყება არა დაბადების პირველი წუთები-  
დან, არამედ, ჯერ კიდევ ნაყოფის ჩასახვამდე, რაც  
უშუალოდ დაკავშირებულია მათი ბიოლოგიური  
მშობლების ჯანმრთელობასთან და წინაპრების გე-  
ნეტიკურ კოდთან. სამწუხაროა ის, რომ ამ პრობ-  
ლების გადაწყვეტას დღემდე არ ექცევა სათანადო  
ყურადღება.

ნებისმიერ ადამიანს, დედის მუცლადყოფნის პე-  
რიოდშიც კი, საშიშროებას უქმნის ჰიპოდინამია,  
ანუ კუნთური უმოქმედობა, ნაყოფი პერიოდულად  
განიცდის ჟანგბადისა და საკვების უკმარისო-  
ბას, ე.ი. შიმშილს, რაც დადებითად უნდა შეფას-  
დეს, რადგან ნაყოფი აქტიურობას განიცდის, შიმ-  
შილი მას აიძულებს იმოძრაოს, რათა დროულად  
მოიპოვოს თავისი „საარსებო პური“ პლაცენტიდან  
არტერიული სისხლის გადმოქაჩის ხარჯზე. ამით,  
ნაყოფი აყალიბებს თავის ფიზიკურ სხეულს,  
ასტიმულირებს ქსოვილებისა და ორგანობის ზრ-  
დას.

ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება ერთი  
გამოკვლევის შედეგი, კერძოდ: ორსულები, რომ-  
ლებიც ჭარბად იღებდნენ საკვებს, მათი სისხლი  
მუდმივად გაჯერებული იყო მაღალკალორიული  
საყუათო ნივთიერებებით და საფრთხეს უქმნიდა

ნაყოფის მოძრაობას. ჭარბი საკვებით გაჯერებული ნაყოფი ჰიპოდინამიურ მდგომარეობაში გადადიოდა, რაც მის სიცოცხლისუნარიანობას ამოკლებდა, სანამ დაიწყებოდა ჩვილის სიცოცხლის ოფიციალური ათვლა.

ამჟამად, ექიმები ორსულ ქალებს უკრძალავენ საკვების ჭარბ მიღებას და მეტი მოძრაობის რეკომენდაციას აძლევენ. ორსულ სპორტსმენებზე დაკვირვებამ, რომელებიც წრთვნას გადიოდნენ ცურვაში, მეცნიერებს მისცა საშუალება დაედგინათ მნიშვნელოვანი ფაქტი: სპორტსმენი დედების ბავშვები ბევრად უფრო ადრე იწყებდნენ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ვიდრე არანავარჯიშები დედების შვილები.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დავადგინეთ ის, რომ ახალშობილთა ყოველდღიური გამაჯანსაღებული პროცედურები (მასაჟი და ტანგარჯიში) ხელს უწყობდა მათი სხეულის სიგრძეში ზრდასა და კუნთური მასის მომატებას, რაც შემდგომში განაპირობებდა ბავშვის ორგანიზმის ადაპტირების გაუმჯობესებას გარეთა გარემოში არსებულ არახელსაყრელ პირობებთან. ის დადებით ზემოქმედებას ახდენდა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნავარჯიშები ბავშვები გაცილებით ადვილად ექვემდებარებოდნენ აღზრდის პროცესს, სწრაფად უმუშავდებოდათ სწორი დინამიკური სტერეოტიპი და მყარად ინარჩუნებდნენ ორგანიზმის სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს (ცოცვა, ხოხვა, ჯდომა, სიარული). ბავშვის ორგანიზმში დადებითი ძვრები მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა, რაც უფრო ადრეული ასაკიდან (სიცოცხლის პირველი დღეებიდან) ხორციელდებოდა ფიზიკური ვარჯიშებისა და მასაჟის გამოყენება.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანთა უმრავლესობა არაჯანსაღი იბადება და ამასთან, ისინი დროულად არ უსმენენ თავიანთი ორგანიზმის ბუნებრივ გამოძახილს, უყურადღებოდ ტოვებენ ორგანიზმის პირველ განგაშს-პირველად გამოვლენილ კლინიკურ სიმპტომებს, მოსალოდნელიდავადების განვითარების დროული აღკვეთის მიზნით. მათ, ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ფიზიკური კულტურის პატივისაცემის ტრადიცია და სათანადო მოთხოვნილება ფაქიზად და ყურადრებით მოეკყრონ ორგანიზმის მიერ ნამოქრილ პრობლემებს. შედეგად კი-ადამიანი იმკის მრავალ დაავადებას.

ჰიპოდინამიკას ყოველთვის თან ერთვის ჰიპოკინეზია (მოძრაობის შეზღუდვა), რაც ჭარბ კვებასთან, ნერვულ დაძაბულობასთან, თამბაქოს მოწევასთან ერთად მოიაზრება „რისკ-ფაქტორად“, რომელიც ზრდის ე.წ. „ცივილიზაციის დაავადებების“ განვითარების რისკს და მეტად საშიშია ასაკოვანი ადამიანების სიცოცხლისათვის. მეტად საინტერესოა ის, რომ ჰიპოკინეზის მოქმედების მექანიზმი გარკვეულიად ემსგავსება დაპერების პროცესის განვითარების დინამიკას, რასაც ხატოვნად ეძახიან „დაბერების მოდელს“.

ახალგაზრდა ადამიანის ორგანიზმის ლაპორატორიული მონაცემები, რომელიც არ ეწევა აქტიურ

მოძრაობას, იდენტურია ხანდაზმული ადამიანის მონაცემებთან. მოძრაობით გაწრთვნილი ადამიანი ხანგრძლივად ინარჩუნებს შრომისუნარიანობას და შემოქმედებით აქტივობას, გააჩნია მეტად მაღალი ბიონერგეტიკული მარაგი და ადვილად იტანს სხვა-დასხვა სახის სიძნელებს, ვიდრე გაუწრთვნელი, ფიზიკური აქტივობა (მოძრაობა) მაღალეფექტურია მაშინ, როცა ის შერწყმულია ჯანსაღი ცხოვრების წესთან და განპირობებულია პიროვნების ნებელობის ხარისხზე.

ადამიანის ორგანიზმი თავისი ბუნებრივი არსით შეექმნილია ისე, რომ იგი, რაც შეიძლება მეტს უნდა მოძრაობდეს. ადამიანი, რომელიც სისტემატურად ფიზიკურად ვარჯიშობს ან კიდევ ასრულებს გარკვეულ კუნთურ მუშაობას (ბევრს დადის ფეხით, დარბის, ცურავს, მუშაობს ბაღში ან მინდოოში...), თავისთავად იკავებს საკუთარ ორგანიზმს და თუ იმავედროს ჰიგიენურ რეჟიმსაც იცავს (მაგალითად, ჭარბად არ იკვებება, არ ეტანება ალკოჰოლსა და თამბაქოს. . .) ის ყოველთვის ჯანსაღ მდგომარეობაშია.

ცნობილი ფრანგი კლინიცისტი ა. ტრუსო დიდ როლს ანიჭებდა მოძრაობას: „მოძრაობას, როგორც ასეთს, შეუძლია თავისი მოქმედებით შეცვალოს ნებისმიერი სამკურნალო საშუალება, მაგრამ მთელი მსოფლიოს სამკურნალო საშუალებას არ შეუძლია შეცვალოს მოძრაობის მოქმედება“.

მოძრაობა (განსაკუთრებით რბენა) ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის უმოკლესი გზაა. სიარულიც-პირველი მინიმალური ნაბიჯია ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკიდრებლად. ამის გამოძახილია ცნობილი კარდიოლოგის ვ.მეტულიცას მტკიცებულება, კერძოდ: „ის ადამიანები, რომლებიც სიარულს მთელი დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტს უთმობენ, გულის იშემიური დაავადებით 5-ჯერ უფრო ნაკლებად ავადდებიან, ვიდრე ისინი, ვინც სიარულს ერთ საათზე ნაკლებ დროს ანდომებენ“.

ჩვენი თანამემამულე, ცნობილი კარდიოლოგი იგორ შხვაცაბაია დარწმუნებულია იმაში, რომ „იდეაში მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულმა ფიზიკურმა დატვირთვებმა და რეჟიმმა ყოველგვარი ნამლების გარეშე - ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გაჯანსაღებას, მის შესაძლებლობათა დიაპაზონის გაფართოებას და შემგუებლური დამცველი „ბასტიონის“ გაძლიერებას. სანრთვნელი ვარჯიშები ყველასათვის აუცილებებლია, მაგრამ დატვირთვა უნდა იყოს ადამიანის მდგომარეობის ადექვატური. ზომიერი დატვირთვა სასარგებლოა, როგორც ავადმყოფისათვის, რომელთა შემგუებლური შესაძლებლობანი ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად გაივლიან წრთვნას, ასევე ჯანმრთელებისათვის- ჯანმრთელობის გასამტკიცებლად და ბოლოს სპორტსმენთათვისაც, რათა კიდევ უფრო განვითარონ ისინი. ყოველივე იმალება დოზებში, კველა ეტაპზე დატვირთვის თანდათანობით გადიდებაში, მოსვენება კი მუდმივი მტერია“.

## ქართული

ლეკსო მუშადიანი

გამოცემა, დასაზისი №4

გთავაზობთ მაკორიგერებული ვარჯიშების კომპლექსს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ოჯახურ პირობებში ჩატარებული კინეზოკორექციული მუშაობის პროცესში.

ვარჯიშთა კომალების ხერხემლის გვერდითი გამოყენების მქონე პირებისათვის  
(ნიმუში)

1. ს.მ(საწყისი მდგომარეობა). ძირითადი დგომი. მივიღოთ დგომის სწორი პოზა.(ვარჯიშის სწორად აღქმისთვის გამოვიყენოთ სარკე). დგომის სწორი პოზა დავაყოვნოთ. 30-40 წმ.

2. სწორი ტანდეგობის პოზაში სიარული (1 წთ).

3. სიარული მაღლა აღმართული ხელებით. (30-40 წმ).

4. ფეხის ცერებზე სიარული, ხელების უკან გატანით და ბეჭების უკან გადაშლით. (30-40 წმ).

5. სიარული ფეხის ტერფის გარეთა კიდეზე ყრდნობით, (თითები მოლუნულია, ხერხემალი გამართული), მსუბუქი, სირბილი ფეხის ცერებზე.

6. ს.მ. დგომი. ფეხები მხრების სიგანეზე, ერთი ხელი გვიდევს მკერდზე, მეორე მუცელზე. სუნთქვითი ვარჯიშები. (3-4-ჯერ).

7. ს.მ. დგომი. ფეხები მხრების სიგანეზე. წინმკლავი, ხელები მოხრილია იდაყვებში. თითები შეკრული მუშტად. ვაკეთებთ მოკრივის მოძრაობის იმიტაციას. (6-8-ჯერ).

8. ს.მ. ძირითადი დგომი. დოინჯი. ჩაჯდომი. ხერხემალი გამართულია. გამართული წინ მკლავი. პოზის ვაყოვნებთ 10-15 წმ. ვუბრუნდებით საწყის მდგომარეობას. (6-8-ჯერ).

9. ს.მ. დგომი. ფეხები მხრების სიგანეზე. დოინჯი. ტანის მარჯვნივ და მარცხნივ გადახრა ხელების ფერდებზე სრიალით.

10. სუნთქვითი ვარჯიში. ზემკლავი. სხეულის გაჭიმვა, (გაზმორება) ღრმად ჩავისუნთქოთ, მიმკლავი, ამოსუნთქვა. (6-8-ჯერ).

11. ს.მ. ფეხები მხრების სიგანეზე. ჩამოშვებული ხელებით გვიჭირავს ტანვარჯიშული ჯოხი. ჯოხით ხელების აწევასთან ერთად ერთ-ერთი ფეხის უკუფეხი. ჩასუნთქვა. ვუბრუნდებით საწყის მდგომარეობას. ამოსუნთქვა. (6-8-ჯერ).

12. ს.მ. ძირითადი დგომი. ხელები ჩამოშვებულია. ხელის მტევნები შეკრულია მუშტად. მუშტების შიდა მხარე შევაბრუნოთ გარეთა მხარეს და ბეჭები მიუახლოვოთ ერთმანეთს. თავი აწეულია.

13. ს.მ. იატაკზე ზურგზე წოლით. ხელები თავის ქვემოთ. ორივე ფეხის ზეფეხი. ფეხები გადავშალოთ გვერდებზე უარავდე, შევაერთოთ და გადავაჯვარედინოთ, ვეცადოთ, რომ ფეხები არ შეეხოს იატაკს. დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. (8-10-ჯერ).

14. ს.მ. ზურგზე წოლით. მარჯვენა ხელი გვიდევს მკერდზე. მარცხენა მუცელზე. შევასრულოთ სუნთქვითი ვარჯიშები (3-4-ჯერ).

ვარჯიშთა კომალები კიფოზური ტანდეგობის მქონე პირებისათვის  
(ნიმუში)

1. თავისუფალი სიარული (20-30 წთ). სიარულის დროს ზურგი გამართულია. ნიკაპი აწეული.

2. ს.მ. ძირითადი დგომი. ხელები დაშვებულია. ცერზე დგომში ხელების უკან გატანა ხერხემლის მკერდის ნაწილში მსუბუქი გაზნექით და ერთდროულად ფეხის უკან გატანით. ჩასუნთქვა. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ამოსუნთქვა. გავიმეოროთ 3-ჯერ თითოეულ ფეხზე.

3. ს.მ. ძირითადი დგომი. დაშვებულ ხელებში გვიჭირავს ტანვარჯიშული ჯოხი. ნახევრად ჩაჯდომი. წელი გამართულია ორივე ხელის წინმკლავი. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. გამეორდეს 4-5-ჯერ.


4. ს.მ. ძირითადი დგომი. ხელები მკერდის წინ. ხელების სწრაფი განმკლავი. ჩასუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ.

5. ს.მ. დგომი. ტანვარჯიშული ჯოხი მხრებზე. წინზნექი. ტანვარჯიშული ჯოხით წინმკლავი. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. გამეორდეს 5-6-ჯერ.

6. ს.მ. ზურგზე წოლით. ხელები ტანის გასწვრივ. ფეხები ნახევრად მოხრილი. თეძმი ავწიოთ „ნახევარხიდის“ დონეზე. ჩასუნთქვა. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ.

7. ს.მ. ზურგზე წოლით. ხელები მოხრილია იდაყვის სახსარში. ვეყრდნობით იდაყვებს. ხერხემლის მკერდის ნაწილში გაზნექი იდაყვზე დაყრდნობით. ჩასუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ

8. ს.მ. მუცელზე წოლით. ხელები მოხრილია იდაყვის სახსარში. ვეყრდნობით იდაყვებს. ხერხემლის მკერდის ნაწილში გაზნექი. ჩასუნთქვა. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ



ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ.

9. ს.მ. მუცელზე წოლით, დოინჯი. ტანის გაზნექი. ერთდროულად ფეხების გაშლით, ჩასუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ.

10. ს.მ. მუცელზე წოლით, ხელები მოხრილია იდაყვის სახსრებში. ტანვარჯიშული ჯოხი იღლიებში. ტანის გაზნექი, ჩასუნთქვა. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა. გამეორდეს 5-6-ჯერ.

11. ს.მ. მუცელზე წოლით, ხელების განმკლავში გვიჭირავს ჰანტელები. მსუბუქად ვჭიმავთ კისერს, გაზნექი ხერხემლის მკერდის ნაწილში, ბეჭები მიკუალოვოთ და ავწიოთ გამართული ფეხები. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. გამეორდეს 6-8-ჯერ. თავი დავიჭიროთ სწორად. უკან არ გადავხაროთ. სუნთქვა არ შევაყოვნოთ.

12. მუცელზე წოლით, ხელები მოხრილია იდაყვის სახსრებში, ხელები გვიჭირავს ჰანტელები, ფეხები ერთად. მსუბუქად ვჭიმავთ კისერს, ერთდროულად ვმართავთ ხელებს და გაგვაქვს უკან, გამართულ ფეხებს ვწევთ მაღლა, შემდეგ ხელები მიგვაქვს მხრებამდე და ვაკეთებთ გაზნექს ხერხემლის მკერდის ნაწილში. დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. ვარჯიში სრულდება 6-8-ჯერ.

13. ს.მ. ოთხივე კიდურზე დგომი. ხელები მოხრილია იდაყვის სახსარში. გავიღუნოთ ხერხემლის მკერდის ნაწილში. კორპუსი (სხეული) ოდნავ დავწიოთ ძირს, იდაყვები გამართულია. (შეიძლება დაემატოს მიღებულ პოზაში ოთხით სიარული). დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. ვარჯიში სრულდება 3-4-ჯერ. სუნთქვა ნებისმიერი.

14. ს.მ. ოთხკიდურზე დგომი. რიგრიგობით გავჭიმოთ (გავმართოთ) მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი და დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. იგივე სრულდება მარჯვენა ხელით და მარცხენა ფეხით). სუნთქვა ნებისმიერი. მეორდება 5-6-ჯერ.

15. ს.მ. ზურგით დგომი ტანვარჯიშულ კედლთან, ხელები ჩავჭიდოთ ტანვარჯიშული კედლის მანას (სახელურს) წელის დონეზე. სხეულის წინ გადახრით

ხერხემლის მკერდის არეში გაზნექი. სუნთქვა ნებისმიერი, ვარჯიში სრულდება 5-6-ჯერ. და ა.შ.

მეცნიერები რეკომენდაციას იძლევიან აღნავობის განვითარების პროცესში განსაკუთრებული უურადღება დაეთმოს სპორტული თამაშების შერჩევას. მათ მიაჩინიათ, რომ არის ისეთი სპორტული თამაშები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მოზარდების ჰარმონიულ განვითარებაზე და მაგალითისათვის მოჰყავთ ისეთი სპორტული თამაშობანი, როგორიცაა ფრენბურთი და ჩოგბურთი (კორტებზე). ფრენბურთის თამაშის დროს თამაში მიმდინარეობს ორივე ხელით, რაც იძლევა შესაბამისი კუნთების სიმეტრიული წვრთნის საშუალებას. ჩოგბურთის თამაშის დროს კი მონაწილეობს ძირითადად ხელის (მარჯვენა ან მარცხენა) ხელის კუნთები და სახსრები და წვრთნა მიმდინარეობს ლოკალურად ერთ-ერთ მათგანზე. მეორე ხელი ჰასიურ მდგომარეობაშია და ფაქტიურად წვრთნის ზემოქმედება მასზე არ ხდება. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ როდესაც ტანდეგვობის, ან სხვა სისტემების (ორგანოების) კორექციასთან გვაქვს საქმე, გულდასმით უნდა იქნეს განხილული ყოველი მოძრაობა, ვარჯიში და მისი შემადგენელი ილეთი, დადგინდეს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემდეგ იქნეს დანიშნულ ვარჯიშისთვის.

ფიზიკური აღზრდა, საერთო აღზრდის განუყოფელი ნაწილია. ადამიანის ფიზიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია მისი მომავალი — სპეციალობის შერჩევა, პროფესიული უნარი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, შრომითი წარმადობა. მოძრაობა, ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. შესაბამისად, ადამიანი ყველაზე ადრეული ასაკიდან უნდა მიეჩინოს ფიზიკური კულტურის ელემენტებს. ფიზიკური აღზრდასა და სპორტს მოაქვს ენერგია და სიცოცხლის ხალისი. წრთვნის და აჩვევს დისციპლინას, ფორმაში აყენებს და აკოსტავებს აღნავობას. ხოლო, კარგი აღნავობა, როგორც ზემოთ ვთქვით, ფიზიკური აღზრდის ძირითადი მაჩვენებელია.

## განმარტებითი ლექსიკონი

**ქცევა** - ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით განხორციელებული მოქმედებაა. ადამიანის ფსიქიკა ქცევაშია ჩართული და შემეცნების საშუალებით აზროვნებას და მოძრაობით მოქმედებას აძლევს მნიშვნელობას. ქცევაში ვლინდება ადამიანის აქტივობა. ქცევა, პიროვნების აქტივობის გამოვლენაა და იგი ვლინდება იმდენად, რამდენადაც მომზიფებულია ფსიქიკა გარკვეული ქცევისათვის. ერთი სიტყვით, ადამიანის ქცევითი მოქმედება მისი ფსიქიკის განვითარების ადეკვატურია.

**მეხსიერება** არის ადამიანის ტვინის ერთ-ერთი თვისება, რომელიც აღბეჭდავს და აღადგენს განვილ ცხოვრებას. ანსხვავებენ მოძრაობით და ქცევით (მოძრაობასთან და ქცევასთან დაკავშირებულ) მეხსიერებას. გრძნობის ორგანოების მიერ წარმოშობილ (მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების. შეხების) მეხსიერებას და ემოციონალური განცდების მეხსიერებას.


ადამიანები განსხვავდებიან მეხსიერების ხარისხით: დამახსოვრების სისწრაფით, მეხსიერების ბანკში შენახვის ხანგრძლივობით, დამახსოვრებული მოვლენების მოცულობით, მეხსიერების სიზუსტით (მოვლენების ასახვის სიზუსტით) და ა.შ.

# პირველი გამოფენა ფორუმი 14 ივნისი 2009




№ 5 13 ԸՆԻ 2009





№ 5 13 ივნის, 2009



# შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს პირადობის მოწმობები გადაეცათ

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სკოლის მოსწავლეებს ეწვია და მათ პირადობის მოწმობები გადასცა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების პროცესის მოგვარების თხოვნით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თბილისის 198-ე სკოლის ხელმძღვანელობამ მიმართა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლებმა მოზარდებს პირადობის მოწმობებისთვის აუცილებელი ფოტოსურათები ადგილზე უფასოდ გადაულეს და დოკუმენტები დაუმზადეს. პირადობის მოწმობები თბილისის 198-ე სკოლის 30-მდე მოსწავლეს გადაეცა. როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს დოკუმენტების აღების პროცესი პირნდათ და ძალიან მნიშვნელოვანია დღეს მათთვის პირადობის მოწმობების გადაცემა. “მე მინდა მივმართო ყველა მშობელს, რომელთა შვილებსაც დაბადების, პირადობის მოწმობები არ გააჩნიათ, ასეთ შემთხვევაში ბავშვები თავიანთი უფლებების სრულყოფილ რეალიზებას ვერ მოახ-

დენენ. დოკუმენტის ასალებად მშობლები უნდა გამოცხადდნენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, სადაც ეს დოკუმენტები უფასოდ გაიცემა”, -განაცხადა ვაშაძემ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეების დოკუმენტირების პროცესის მოგვარებისათვის სამოქალაქო რეესტრი მუდმივად მუშაობს და ასეთ შემთხვევებში მოსახლეობას ადგილზე უფასოდ ემსახურება.



## პოლ მაკარტნიმ პაროლიმპიელებს მხარი დაუჭირა

2008 წელს, სერ პოლ მაკარტნიმ, გამოუშვა ორი ვიდეორგოლი, რომლითაც დიდი ბრიტანეთის საზოგადოებას მოუწოდებდა გაელოთ ფულადი შემოწირულობები შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის პეკინის პაროლიმპიურ თამაშებში გასამგზავრებლად. აქციის ორგანიზატორების აზრით ეს იქნებოდა ყველაზე დიდი მხარდაჭერა ინგლისელი პაროლიმპიელებისათვის.

პირველი რგოლი ასახავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ვარჯიშისა და შეჯიბრებების პერიპეტიებს. ძირითადი აქცენტი გაკეთდა არა იმ საოცარ შედეგებზე, რომელსაც ამყარებდნენ სპორტსმენები, არამედ მათ სიამოვნებაზე, რომელსაც მიღწეულისაგან იღებდნენ. ვიდეორგოლის რეჟისორი იყო ლუკ სკოტი, საქვეყნოდ ცნობილი რიდლი სკოტის ვაჟი, ხოლო მისი ვიდეორგოლის მშვენება იყო პოლ მაკარტნის კომპოზიცია “Live and Let Die”. მეორე რგოლში — პირდაპირ მოუწოდებდა საზოგადოებას სერ პოლ მაკარტნი შეეწირათ ფულადი სახსრები ინგლისელი პაროლიმპიელებისათვის.



# ეპონიმი და სტრუქტური

ნონა ოძონაშვილი

მარტინ და აზერბაიჯანი ის №4

რატომ ეხმარება ასე კარგად ფიზიკური ვარჯიშები და სპორტული თამაშები სტრუქტური სიტუაციების კონტროლს და ნერვული გაღიზიანების შერბილებას?

ადაპტიური სპორტის საფუძველს წარმოადგენს შეჯიბრების შემოქმედებითი პროცესი და მასში მონაწილეობისათვის მიზანმიმართული მზადება, ნარჩენი ფუნქციების დახმარებით ადაპტაციურ კომპენსატორული (დარღვეული ფუნქციის აღდგენა.) შესაძლებლობების განვითარება მისაწვდომ ბიოლოგიურ დონეზე და ინდივიდუალური სპორტული ტექნიკის სრულყოფა. ფსიქოფიზიკური პროცესების დარღვეული წონასწორობის აღდგენა საპირისპირო მიმართული რეაქციის ან იმპულსების წარმოქმნის გზით.

ფიზიკური ვარჯიშების პროცესში სიძნელეების დაძლევა, რომლის გადალახვა თავის მხრივ იწვევს გარკვეული ხარისხის რისკის ფაქტორს (ექსტრემალურ პირობებს), ასრულებს დეპრესიის, ფრუსტრაციის მიერ გამოწვეული სხვადასხვა ფსიქიკური დაძაბულობის პროფილაქტიკის ფუნქციას.

დეპრესია არის ავადმყოფური სევდიანობა, უგუნებობა, უიმედობის გრძნობა, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ ფსიქიკურ დაავადებას ან გამოწვეულია მძიმე ტრავმის შედეგად მიღებული ფსიქიკური აშლილობით. დეპრესია ხშირად ვითარდება უარყოფითი ემოციების შედეგად და ჩვეულებრივ გაივლის ხოლმე გამომწვევი მიზეზების მოსპობის ან გარკვეული დროის გავლის შემდეგ. მას ახასიათებს აზროვნების და მოძრაობის პროცესების შენელება, უნება-განწყობილების დაქვეითება, უმაღლება, უსიამოვნო შეგრძნებები გულის არეში. დეპრესიის მძიმე ფორმის დროს ვითარდება თვითმკვლელობის დაუკონკებელი სურვილი, გუნება განწყობის მკვეთრი დაქვეითება, სურვილების გაქრობა, ინდიფერენტულობა, ინტელექტუალური შესაძლებლობების დაქვეითება და ა.შ.

ფრუსტრაცია თავისი არსით წარმოადგენს ემოციური ხასიათის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას (დაძაბულობა, შფოთიანობა, გულგატეხილობა), რომელიც აღმოცენდება ისეთ სიტუაციაში, როდესაც პიროვნება გარკვეულ მოვლენებს აღიქვამს როგორც გარდაუვალ საშიშროებას, რომელიც ხელს უშლის დასახული მიზნის მიღწევაში, ამათუ იმ მოთხოვნილების შესრულებაში. ფრუსტრაციის ძალა და მისი ზეგავლენა დამოკიდებულია როგორც გამომწვევი მიზეზის დონეზე (ლირებულებაზე),

ასევე დასახული მიზნის სიახლოვეზე. ფრუსტრაციის რეაქცია შეიძლება გამოვლინდეს აგრესით მარტივ მოქმედებაზე ან ფანტაზიის სამყაროში გადასვლის სახით და ა.შ.

ინვალიდების ცხოვრების პროცესში ხშირად წარმოიშვება მარტოობის და გარიყულობის განცდის პრობლემა, რომელიც ძირფესვიანად ცვლის პიროვნების ცხოვრების შინაარსს.

მარტოობის განცდა ერთ-ერთი სერიოზული სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემაა. წლების მანძილზე ფსიქოლოგები და სოციალოგები განიხილავდნენ მარტოობის პრობლემის სხვდასხვა ასპექტებს. მიუხედავად აზრთა სხვაობისა, ერთი ცხადია, მარტოობა აღიქმება, როგორც სუბიექტური, ინდივიდუალური და უნიკალური განცდა. მისთვის დამახასიათებელია საკუთარ თავში ჩაღრმავების, ჩაკეტვის გრძნობა. იგიარარის ლოკალური და მთლიანად მოიცავს ადამიანს. მარტოობის გრძნობა წარმოშობს ჩვეული ურთიერთობების დარღვევას, დაკავშირებულია მიედების გაცრუებასთან, რომლებზეც ორიენტირებული იყო პიროვნება ცხოვრების მომავალი გეგმების განხორციელებისათვის. ამიტომ, მარტოობის გრძნობა წარმოშობს შფოთვას, შიშს და შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ფორმის ფსიქიკური დარღვევები.

ყოველივე ზემოთ აღნიმული საფუძველს იძლევა მარტოობის განცდა სტრესის პოტენციურ წყაროდ და ინდივიდუალური ტრაგედიის მიზეზად ჩაითვალოს (ლ. უგულავა, ა. გრიგოლავა, 2002).

ამიტომ დეპრესიის, ფრუსტაციის, მარტოობის და საკუთარი არასრულფასოვნების შეგრძნებიდან გამოწვეული სხვადასხვა დაძაბულობის დაძლევის და საკუთარ ძალებში რწმენის დაბრუნების საუკეთესო გზა ადაპტიური ფიზიკური აღზრდისა და ადაპტიური სპორტის უსაზღვრო საშუალებების გამოყენება წარმოადგენს.

ფიზიკური ვარჯიშები და სპორტული თამაშები, რომლებიც სრულდება სხეულის თავისუფალი სწრაფი ვარდნებით და ბრუნვაში გადაადგილებით, უეცარი აჩქარებით, მოულოდნელი წინააღმდეგობების გადაასხვით და ა.შ. ინვეცია „მწვავე“ შეგრძნებებს, რომლებიც თავის მხრივ ააქტიურებენ ენდოგენურ სისტემებს და გამოყოფენ ე.წ. ენდორფინებს — „ბედნიერების“ პორმონებს. აქედან გამომდინარე გარკვეული წინააღმდეგობის მიერ გამოწვეული შიშს თუ შიშნარევი მღელვარების გადალავა, წინააღმდეგობის დაძლევა, ადამიანში იწვევს მნიშვნელოვან კუმუფილებას, პიროვნულ თვით-

რეალიზაციას, სიამაყეს, სრულფასოვნების აღქ-  
მის და საკუთარი საზოგადოებისათვის სასურველ  
პიროვნებად კუთვნილების გრძნობას.

სიხარულის და ეიფორიის შეგრძნებას, რომელიც  
გამოწვეულია სიძნელეების დაძლევით, ბოლო წლებ-  
ში უკავშირებენ ჰორმონების — ენდორფინების ძლი-  
ერ გამოყოფას. ისინი აქტიურად გამომუშავდებიან  
ფიზიკური ვარჯიშების დროს, რომელიც ამტანობას  
ანვითარებს. ენდორფინები მორფინის მსგავსი ნივ-  
თიერებებია, რომლებსაც გამოიმუშავებს ჰიპოფიზი  
(ჰიპოფიზი — შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, ტვი-  
ნის დანამატი. იგი გამოიმუშავებს ოცდაათამდე  
ჰორმონს, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანოე-  
ბისა და ქსოვილების ზრდაზე, რძის გამომუშავე-  
ბაზე, ნივითერებათა ცვლასა და შინაგანი სეკრე-  
ციის სხვა ჯირკვლების, მაგალითად, ფარისებრი,  
ფარისებრახლო, კუჭქვეშა, თირკმელზედა ჯირკვ-  
ლების ფუნქციაზე და ა.შ.) სხვადასხვა სიტუაციაში,  
მათ შორის დაძაბული ფიზიკური აქტივობის დროს.  
ის, რომ ენდოფინები მორფინის მსგავსი ნივთიერე-  
ბებია, შეიმჩნევა მათ მიერ გამოწვეული ანალგეზურ  
ანალგეზია (ბერძ. — ტკივილის შეგრძნების დაკარგ-  
ვა.) ეფექტზე შესადარებელ დოზებში — ამტკიცებს  
ამერიკელი მეცნიერი კენეტ კუპერი. — ისინი შეი-  
ძლება 200-ჯერ უფრო ეფექტური იყოს მორფინზე.  
მისი გავლენა ორგანიზმზე თითქმის ფენომენალ-  
ურია. ისინი ქმნიან ნეტარების ბუნებრივ შეგრძნე-  
ბებს. რამდენიმე გამოკვლევის შემდეგ, რომელიც  
ჩაატარეს შოტლანდიელმა სპეციალისტებმა XX  
საუკუნის 70-იან წლებში, გამომუდავნდა ენდორ-  
ფინების მოლეკულების აგებულება და დადგინდა

კავშირი ეიფორიის, ნეტარების შეგრძნებებსა და  
ენდორფინების გამოყოფას შორის მძიმე დაძაბული  
ფიზიკური შრომის შემდეგ. ეს შეგრძნება შეიძლება  
გაგრძელდეს საკმაოდ მაღალი ინტენსივობით,  
ნახევარი საათიდან ერთ საათამდე და შეიძლება  
კიდევ უფრო მეტანს.

როგორ შემთხვევაში ენდორფინი შესანიშნავი და  
ეფექტური ანესთეტიკია. (ანესთეზია — ბერძ. უგრძნობლობა, გაუტკივარება.). ორგანიზმში ენ-  
დორფინების არსებობა შეიძლება აიხსნას იმ შემ-  
თხვევით, რომ ფეხბურთელი, რომელიც ძლიერად  
დაიზიანებს ფეხს თამაშის დასახუისში, თამაშობს  
მატჩის დარჩენილ ნაწილს და ვერ ამჩნევს, რომ  
ფეხი დაზიანებული აქვა.

ენდორფინები ამსუბუქებენ გონებრივი მოქ-  
მედების ზოგიერთ პრობლემებს. ფსიქიატრები უკვე  
მრავალი წელია იყენებენ ფიზიკურ ვარჯიშებს და  
სპორტული თამაშების ელემენტებს ანტიდეპრე-  
სანტებად, როგორც სტანდარტულ პროცედურ-  
ას. დეპრესიის დროს ენდორფინების რაოდენობა  
ხანდახან ძალზე დაბალია და ასეთ სიტუაციაში  
ფიზიკურ აქტიურობას ამაღლებას დიდი მნიშვნე-  
ლობა ენიჭება, რადგანაც იგი სწევს ენდორფინების  
დონეს.

ბევრი ექიმი თვლის, რომ ფიზიკური ვარჯიშები  
საუკეთესო ბუნებრივი ფიზიოლოგიური ტრანკვი-  
ლიზატორებია. დეპრესიებთან ბრძოლის გარდა,  
ფიზიკურ ვარჯიშებს, ზოგიერთ შემთხვევაში იყენებენ  
სტრესების შესარბილებლად და მღელვარების  
მოსახსნელად.

## ცენტრალური მართონი



ტანცია - 42 კილომეტრი და 195 მეტრი გადალახა 1 საათში 29 წუთში და 49 წამში. მეორე ადგილი დაიკავა შეჯიბრების მასპინძელმა. კორელაცია, სუკვან ხონგმა. უნდა აღინიშნოს, რომ მეექვსე ადგილს  
პირველისაგან მხოლოს სამი წამი ჰყოფდა.

ქალთა შორის (ნახევარმარათონის დისტანცია) პირველი ადგილი დაიკავა რუსეთის წარმომადგე-  
ნელმა სვეტლანა იაროშევიჩმა (1:13.03).

# კუჭისა და თორმეთგოჯა ნაცლავის ცელულოვანი დაავადება

მერაპ ბუაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის  
მიმართულების ასოც. პროფესორი.

პედიატრიული კლინიკის ქირურგიული ენდოსკოპიის განყოფილების გამგე,  
არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ჰელიკობაქტერიული კვლე-  
ვის ჯგუფის ხელმძღვანელი“

წყლული – ეს არის კუჭის ან თორმეთგოჯა ნაწ-  
ლავის ლორნოვანი გარსის დარღვევის შედეგად  
გამოწვეული ლოკალური დეფექტი, რომლის გამ-  
ნვავებაც დაკავშირებულია ანთეპით პროცესთან.  
წყლული შესაძლოა განვითარდეს მნვავედდაუმეტეს  
შემთხვევაში იგი ქრონიკულია. უკანასკნელი 2 ათ-  
წლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები  
კუჭის წყლულოვანი დაავადების მკურნალობაში გა-  
ნაპირობა Helicobacter Pylori – ს და არასტეროიდული  
ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების როლის  
დადგენამ დაავადების განვითარებაში.

1982 წელს რობინ ვარნენისა და ბარი მარშალის  
მიერ ალმოჩენილი პილორული ჰელიკო ბაქტერიის  
როლი კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულოვანი  
დაავადების და კუჭის კიბოს განვითარებაში დღეს  
უკვე საყოველთაოდაა აღიარებული და ეს მკვლევა-  
რები 2005 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდნენ.  
1982 წლის ალმოჩენამდე, მედიცინაში დამკვიდრებული პარადეგმა – „არ არის მაღალი მუავიანობა, არ  
არის წყლული“ – სამართლიანად შეცვალა ცნობილი  
ამერიკელი მეცნიერის დ. გრაპამის ახლებურმა  
ფორმულირებამ: „არ არის მაღალი მუავიანობა და  
პილორული ჰელიკობაქტერია, არ არის წყლული“.

უმეტეს ავტორთა მონაცემებით ინფექციის  
შეძენა ხდება ბავშვთა ასაკში, მსოფლიოს მო-  
სახლეობის დაახლოებით მესამედი ინფიცირებუ-  
ლია პილორული ჰელიკობაქტერიით, თუმცა მათ  
გარკვეულ ნაწილს არ აღენიშნებათ ინფექციასთან  
დაკავშირებული რაიმე მანიფესტირებული კლინი-  
კური ნიშნები. ისეთი დაავადებები, როგორიცაა: კუ-  
ჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება,  
ბაქტერიული გასტრიტები (ქრონიკული აქტიური,  
ქრონიკული ჰერსისტული, ატროფიული) და კუჭის  
ონკოლოგიური პათოლოგიები (ადენკარცინომა და  
მალტ-ლიმფომა), ანუ ეგრეთნოდებული პილორულ  
ჰელიკობაქტერიასთან ასოცირებულ დაავადებები  
კლინიკურად მანიფესტირებს მსოფლიოს მოსახლე-  
ობის დიდ ნაწილში და მერყეობს განსხვავებულ ეთ-  
ნიკურ, სოციალურ ჯგუფებს შორის. მათი გამოვ-  
ლინება განსაკუთრებით მაღალია განვითარებად  
ქვეყნებში, სტატისტიკური ანალიზით დადგენილია  
რომ ამ ბაქტერიით ინფიცირებისას დაახლოებით  
6-ჯერ იზრდება კუჭის ონკოპათოლოგიის განვითა-  
რების რისკი.

ჰელიკობაქტერული კვლევა ფართოდ მიმდი-  
ნარეობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა  
და სამეცნიერო ცენტრებში. აღნიშნული კვლევის  
შემაჯამებელ ეტაპად მიჩნეული უნდა იყოს სამი  
ძირითადი დოკუმენტი, თანამედროვე კონცეფ-  
ციების გათვალისწინებით, 1997 წელს ევროპის ჰე-  
ლიკობაქტერული კვლევის ჯგუფის მხარდაჭერით  
მიღებულია მასტრიჩტის-ის ევროპული კონსენ-  
სუსები (2000 წელს მოხდა მეორე, ხოლო 2005 წელს  
მესამე რედაქციის მიღება), 1997 წელს ამერიკის  
შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინ-  
სტიტუტის კონსენსუსი, რომლებიც არეგულირებენ  
ჰელიკობაქტერულ ინფექციასთან-ასოცირებულ  
დაავადებათა მართვის სტრატეგიებს და იძლე-  
ვიან პრაქტიკულ რეკომენდაციებს დაავადებათა  
დიაგნოსტიკის, მკურნალობის საკითხში. მესამე  
დოკუმენტს წარმოადგენს ჯანდაცვის მსოფლიო  
ორგანიზაციის კიბოს კვლევის საერთაშორისო საა-  
გენტოს მიერ, 1992 წელს პილორული ჰელიკობაქტე-  
რია კუჭის დისტალური ეპითელიარული კიბოს გან-  
ვითარებაში I კლასის კარცინოგენად გამოცხადება.

სამედიცინო კლინიკების სხვადასხვა გან-  
ყოფილებებში. Pylori-სთან ასოცირებულ დაავადე  
ბათა დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა  
რიცხვი მაღალია. განსაკუთრებით ყურადსალებია  
ის გარემოება რომ მათი უმრავლესობა ქირურგი-  
ულ საწოლებზე მოდის, სადაც სტაციონარში მოხ-  
ვედრის მიზეზები, სიცოცხლისათვის საშიში ისეთი  
გართულებებია როგორიცაა: კუჭის და თორმეტ-  
გოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაცია, პროფუ-  
ზული გასტროდუოდენური სისხლდენა, დეკომ-  
პენსირებული პილოროსტენოზი, მაღიგნიზაცია და  
სხვა. აქედან გამომდინარე დროული დიაგნოსტიკის  
შემთხვევაში დღესდღეობით, მსოფლიოში დაგ-  
როვილი გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება  
განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის იმ ფაქტებს,  
რომ წყლულოვანი დაავადება განკურნებადია და  
შესაძლებელია ეფექტური პრევენციული სისტემის  
შემუშავება და განვითარება.

ნორმალური მდგომარეობისას, კუჭის მუავის  
გამოყოფასა და კუჭის ლორნოვანის დამცავ მექა-  
ნიზმებს შორის არის ფიზიოლოგიური ბალანსი,  
ლორნოვანი გარსის დაზიანება და წყლული ვი-  
თარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ბალანსი



სურათი 1. პილორული ჰელიკობაქტერია

აგრესიულ ფაქტორებსა და დამცავ მექანიზმებს შორის ირღვევა. აგრესიულმა ფაქტორებმა, როგორიცაა ანთების სანინაალმდეგო არაპორმონალური მედიკამენტების მიღება, ალკოჰოლი, ნიკოტინი, შესაძლებელია იმოქმედოს ლორწოვანის დამცავ მექანიზმზე და გამოიწვიოს წყალბადის იონების უკუშენოვა, და შესაბამისად ეპითელური უჯრედების დაზიანება.

**HELICOBACTER PYLORI**-ს მიერ წარმოქმნილი დაავადების გამომწვევი ფაქტორები

კუჭის ლორწოვანზე ბაქტერიის ფიქსირების მომენტი არის ინფექციური პროცესის დასაწყისი, ისინი განლაგდებიან კოლონიების სახით უჯრედშორის სივრცესა და კედლის მიმდებარე ლორწოში. ბაქტერია დაფარულია გლიკოკალიკსით, რომლის შემადგენლობაშიც შედის ნახშირწყალბადის შემცველი პოლიმერი, რომელიც აუცილებელია კუჭის ეპითელიოციტებზე ბაქტერიის ადგეზიისათვის. ამით აიხსნება წყლულოვანი დაავადების სიხშირე პირველი ჯგუფის რეზუს-დადებით პაციენტებში. ბაქტერია გამოიმუშავებს და გამოყოფს სხვადასხვა პათოლოგიურ ფერმენტებს და გენებს. მათი რაოდენობის ზრდა ბაჩვენებელია ბაქტერიის აგრესიულობისა. მაგალითად ფერმენტი ურეაზა-შლის კუჭში შარდოვანას, გამოიყოფა ამიაკი, რომელიც იწვევს კუჭის პარიეტალურ-უჯრედოვან უკმარისობას. ახდენს უჯრედში ATФ ინჰიბიციას და არღვევს უჯრედის ენერგეტიკულ ბალანსს. ურეაზა-არის პოტენციური ანტიგენი, რომელიც ზრდის ანტისხეულების პროდუქციას და სხვა ფაქტორების აგრესიას.

კატალაზა, სუპეროქსიდისმუტაზა- არღვევს კუჭის ლორწოს, რის შედეგად მატულობს კუჭის მუავე ფაქტორის აგრესიული ზემოქმედება

ციტოტოქსინები წყლულის წარმოქმნელი ფუნქცია-ციტოპათოგენური ენზიმი *CagA*, *VacA*, *BabA*, *IceA*-და სხვა ციტოტოქსინის გამომწვევი გენები. ჩაგამავე ღროს წარმოადგენს- ონკომარკერს. ბაქტერიის ზემოქმედებით ხდება კუჭის უჯრედების სტიმულაცია, რაც იწვევს გასტრინის მომატებას, რომელიც აძლიერებს მარილმუავას პროდუქციას, პარალელურად ხდება კუჭის ანტრალური ნაწილის -უჯრედების ინჰიბიცია, რომელიც გამოყოფს გასტრინის გამანეიტრალებელ— სომატოსტატინს. .

*pylori*-ის ლიკვიდაციის შემდეგ კუჭის ფიზიოლოგიური ფუნქცია ნორმალიზდება.

კუჭის წყლული თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისგან განსხვავებით უფრო ხშირად გვხვდება ხანში შესულ პაციენტებში – ყველაზე კუჭის წყლულის ნახევარზე მეტი გვხვდება მამაკაცებში და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისგან განსხვავებით მისი მალიგნიზაცია უფრო ხშირია.

კუჭის წყლულოვანი დაავადებისას სიმპტომები ძირითადად დამოკიდებულია წყლულის მდგპარეობაზე. დავადების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გამოვლინება არის ტკივილი, რომელიც ძირითადად გვხვდება კუჭის არეში, პაციენტს ტკივილი უმცირდება ანტაციდების ან საკვების მიღების შემდეგ.

კუჭის წყლულის არსებობის დროს საკვების მიღებამ შესაძლოა ტკივილი გამამწვავოს. იმ შემთხვევაში თუკი წყლული განვითარებულია პილორულ ნაწილში, შესაძლებელია ტკივილთან ერთად აღინიშნებოდეს ობსტრუქციის (კუჭის გასავლის შევიწროების გამო საკვების გაძნელებული გადასვლის ნიშნები) – პირდებინება, გულისრევის შეგრძნება, ბოყინი.

თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ხასიათდება გახანგრძლივებული ტკივილით, საკვების მიღების შემდეგ ტკივილი მცირდება ან საერთოდ ქრება, თუმცა ეს მდგომარეობა გრძელდება საკვების მიღებიდან მხოლოდ 2 – 3 საათი. დუღდენალური წყლულისთვის ყველაზე სპეციფიური მახასიათებელია ღამის ტკივილები – ტკივილი იმდენად მწვავეა რომ პაციენტს ეღვიძება.

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დიაგნოსტიკებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ინფორმატიულია ენდოსკოპია, ვიზუალური დათვალიერების გარდა, მისი მეშვეობით შესაძლებელია ენდოსკოპიური ბიოფსიის აღება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მალიგნიზირებული ან კეთილთვისებიანი წყლულის დიფერენცირებისთვის. დაავადების არსებობის შემთხვევაში ასევე აუცილებელია პაციენტს ჩაუტარდეს ტესტი – *Helicobacter Pylori* – ის არსებობაზე. როგორც წესი, დაავადების მქონე პაციენტების უმრავლესობას ტესტის შედეგები აქვთ დადებითი. ბაქტერიის დეტექცია შესაძლებელია მოხდეს ინვაზიურად. კუჭის ლორწოვანი გასრის ბიოპტატზე ბაქტერიის არსებობა დგინდება მისი პროდუქტის – ურეაზას არსებობით. არსებობს რეაქტივები - რომლის მეშვეობითაც ხდება კვლევის ჩატარება. თითოეული მათგანი შეიცავს ურეას და – ის ინდიკატორს. თუკი *Helicobacter Pylori* არის, მაშინ ბაქტერიული ურეაზა კიტში არსებულ ურეას გარდაქმნის ამიაკად, რომელიც ცვლის PH – ს, და საბოლოოდ იცვლება ფერი. არაინვაზიური მეოთხე, ბაქტერიის არსებობის დადგენისათვის არის ანტისხეულების დეტექცია პლაზმაში, სისხლში. ფეკალური ანტიგენის ტესტები, და ასევე მნიშვნელოვანია სასუნთქი ტესტი - ამ შემთხვევაში დგინდება ურეაზას ენზიმური მოქმედება. ტესტის

დროს პაციენტი იღებს ურეას მონიშნული იზოტოპით - C1<sub>3</sub>. 30 წუთის შემდეგ, ამოსუნთქული CO<sub>2</sub> – ის დეტექცია მონიშნულ იზოტოპ C1<sub>3</sub> – თან ერთად მიანიშნებს რომ კუჭში მოხვედრის შემდეგ მოხდა ურეაზას დაშლა, თავის მხრივ ეს მაჩვენებელია კუჭში ურეაზას არსებობისა. ურეაზა კი თავის მხრივ Helicobacter pylori – ის პროდუქტია. ფეკალური ანტიგენის ტესტის დროს ხდება დადგენა ბაქტერიის ანტიგენების არსებობისა ფეკალურ მასებში.

დაგნოზის დადგენს შემდეგ აუცილებელია ადექვატური მკურნალობის ჩატარება, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი გართულებები. მკურნალობა მოიცავს, Helicobacter Pylori – ის არსებობის შემთხვევაში მის საწინააღმდეგო მკურნალობას, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებისგან თავის შეკავებას, ანტისეკრეტორულ თერაპიასთან ერთად. კუჭის წყლულოვანი დაავადების მქონე პაციენტს, რომელსაც თან აღენიშნება Helicobacter Pylori ინფექცია, ენიშნებათ პროტონისტუმბოს ინჰიბიტორის მედიკამენტები (ომეპრაზოლი/ ლანსოპრაზოლი/პანტოპრაზოლი რაბეპრაზოლი/ეზომეპრაზოლი.), რომელზეც დაფუძნებული სამმაგი თერაპია. 2. მაკროლიდი – კლარიტომიცინი. 3. ამოქსაცილინი. მკურნალობის ხანგრძლივობა განისაზღვრება ექიმის მიერ. ალტერნატიულად შესაძლებელია ამოქსაცილინის ჩანაცვლება მეტრონიდაზოლით. მკურნალობის შემდეგ პაციენტების 85- 90% -ს აღენიშნება ბაქტერიის სრული ერადიკაცია და წყლულის შეხორცება. ოთხმაგი თერაპია გამოიყენება პაციენტებისთვის, რომლებსაც არ აღენიშნებათ გაუმჯობესება სამმაგი თერაპიის ჩატარების შემდეგ. ოთხმაგი თერაპია მოიცავს: ბისმუტის კოლოიდური სუბსტრაქტის დენოლის დამატებას და ანტიბიოტიკების შეცლას.

ანტიბიოტიკის მკურნალობის შემდეგ რეკომენდირებულია პრობიოტიკების დანიშვნა, რათა თავი-

დან იქნას აცილებული ანტიბიოტიკების უარყოფითი ზემოქმედება ნაწლავის ფლორაზე.

გამომწვევი მიზეზის დადგენის და მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი საუკეთესოა. მკურნალობასთან ერთად სასურველია პაციენტისთვის რეკომენდაციები – თამბაქოს მოხმარების შეწყვეტა, ასპირინის, და ასევე სხვა ტიპის ანთების საწინააღმდეგო არაჰორმონალური მედიკამენტების მიღებისგან თავის შეკავება, ალკოჰოლის მოხმარების შემცირება.

დანერგილი სადიაგნოზო და კომპლექსური სამკურნალო მიდგომა მკვეთრად ზრდის მკურნალობის ეფექტურობას; ამავდროულად იგი გამიზნულია ონკოლოგიური გართულებების (კუჭის წყლულის მალიგნიზების) საწინააღმდეგოდ; კომპლექსური მკურნალობა გაცილებით ხარჯთეთექტურია ვიდრე რადიკალური ქირურგიული ჩარევა; იგი მინიმუმამდე ამცირებს ქირურგიული გართულებების განვითარების შესაძლებლობას რის გამოც გარკვეულწილად პრევენციული ღონისძიების რანგში გვევლინება. ყოველივე ამის გათვალისწინებით წყლულოვანი დაავადების მკურნალობა პრინციპულად ახალ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით თუ მის სადიაგნოზოდ გამოყენებული იქნება სრულყოფილი სტანდარტული ალგორითმი. მკურნალობის დახვენა და სრულყოფა თანდათან უკანა პლანზე სწევს დაავადების მკურნალობის ქირურგიულ მხარეს. სავსებით რეალურია ის ფაქტი რომ დაავადების შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა სრულად განკურნებადა სპეციფიკური მკურნალობის კურსის შემდეგ. ქირურგიული მკურნალობის ჩვენებას წარმოადგენს დაგვიანებული დიაგნოზირების შედეგად კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გართულებული ფორმების მკურნალობა, რომლებიც არ ექვემდებარებიან მედიკამენტოზურ თერაპიას.

## აღავტიური ფიზიკური აღზრდა მკანის პრობები

თეიმურაზ მიძიაშვილი

### განვითარებული დასაზყიუსი №4

ის, რომ სისტემატიკური ფიზიკური ვარჯიში სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა, დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი. – „თუ ფიზიკურად ვარჯიშობ, არაა აუცილებელი მიიღო ნამალი. ზომიერად და დროულად ფიზიკურად მოვარჯიშე ადამიანი არ საჭიროებს იმ წამალს, რო-

მელიც ავადმყოფობისათვის არის საჭირო“ — წერდა ავიცენა ჯერ კიდევ 1000 წლის წინათ.

ოჯახურ პირობებში მონყობილი სპორტული კუთხე და ამის საფუძველზე ადაპტიური ფიზიკური აღზრდის დანერგვა, ფიზიკური რეაბილიტაციის უწყვეტობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება.

ცხოვრების თანამედროვე წესის გამო, ადამიანი იძულებულია დროის უმეტესი ნაწილი მჯდარ მდგომარეობაში გაატროს. პროფესიების უმრავლესობას მჯდარ მდგომარეობაში ასრულებს. უმეტეს დროს ავტოტრანსპორტში ხარჯავს, ინფორმაციის უმეტეს ნაწილს ადამიანი მჯდარ მდგომარეობაში იღებს. ასე რომ, ადამიანი თავის ცხოვრების მეტ ნაწილს მოძრაობის გარეშე ატარებს.

დადგენილია, რომ ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც გონებრივ შრომას ეწევიან, 2-3-ჯერ მეტად ავადდებიან ათეროსკლეროზით, ჰიპერტონიით და გულის იშემური დაავადებებით, ვიდრე ფიზიკური შრომით დაკავებულნი. მოძრაობითი აქტიურობის დაქვეითება ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და ცხიმების დაგროვებას. ზედმეტი წონა კი—დაავადებების მთავარი მიზეზია. აქედან გამომდინარე, ცხოვრების უმოძრაონესი, ჯანმრთელი ადამიანისათვისაც სახიფათოა. ამიტომ, ფიზიკური აღზრდა ზოგადად, გადამწყვეტროლს თამაშობს მათი ფიზიკური რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის პროცესში.


ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა ბაშვობის, სიჭაბუკის და სიჭარმაგის ასაკში. ეს აიხსნება იმით, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა ყოველი ათი წლის მანძილზე კლებულობს დაახლოებით 7-8%-ით. მდგომარეობის გამოსწორება კი შეიძლება ფიზიკური ვარჯიშების სისტემატური ჩატარებით. ამიტომ, ოჯახში სპორტული კუთხე, გარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა, ოჯახის წევრთა ჯანსაღი ნაწილისთვისაც აუცილებლობას ნარმოადგენს.

ამრიგად, ოჯახში სპორტული კუთხე, გარდა იმისა, რომ შესარულებს ფიზიკური რეაბილიტაციის სამუშაოს, ოჯახის სხვა ნერვების ჯანმრთელობის ამაღლების, სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საშუალებაც იქნება.

როგორ მოვაწყოთ ოჯახურ პირობებში სპორტული კუთხე?

პირველ რიგში განვსაზღვროთ, ვინ ივარჯიშებს მასზე. ბავშვებისათვის შევარჩიოთ შედარებით მცირე ზომის სპორტული იარაღები, ვიდრე დიდებისათვისაა საჭირო. აგრეთვე, მოწყობილობების და ტრენაჟორების შერჩევა უნდა მოხდეს მოვარჯიშის სქესის, ასაკის, ფიზიკური შესაძლებლობების საფუძველზე და ბოლოს, ვითვალისწიებთ სახლის დაგეგმარებას, მის საერთო ფართობს, ავეჯის განლაგებას და ა.შ.

მცირებულებრივიან ბინებში, ან ოთახში სპორტული კუთხისათვის საკმარისია გამოვიყენოთ 1-2 ზედამდებარების თავისუფალი უნდა იყოს ავეჯისაგან, რადგან ვიმოძრაოთ თავისუფლად. ვარჯიშის წინ, იატაკზე დავაფინოთ ხალიჩა ან ფარდაგი, განვალაგოთ უმარტივესი სპორტული იარაღები (ტანკარჯიშული გორგოლაჭები, ესპანდერი, ჰანტელებით, მცირე წონის გირები და ა.შ.) იმ ოთახის



სურ. 1

კარების სვეტებზე, სადაც მოთავსებულია სპორტული კუთხე, შეიძლება დამონტაჟდეს მოსახსნელი ლერძი. (სურ. 1) ვარჯიშისაგან თავისუფალ დროს სპორტული ინვენტარ-იარაღები უნდა ინახებოდეს ნებისმიერ მოსახერხებელ ადგილზე (კარადამი, აივანზე, სარდაფში და ა.შ.).

გარდა საცხოვრებელი ფართისა, სპორტული კუთხის მოსაწყობად შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ფართი, რომელიც აქმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მაგალითად, მრავალსართულიან სახლებში სპორტულ კუთხისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სართულის საერთო სადარბაზო, რომლის შესახებაც შეთანხმებული იქნება მეზობლებთან. იქ შეიძლება განლაგდეს ტანკარჯიშული კედელი, ტანკარჯიშული სკამი, მოსახსნელი ლერძი, ჭერზე შეიძლება ჩამოიკიდოს ტანკარჯიშული რგოლები და ა.შ.

საერთოდ, სპორტული კუთხის მოწყობის დროს, ბევრი რამ დამოკიდებულია იმ ადამიანის ფანტაზიაზე და მონდომებაზე, რომელიც აწყობს სპორტულ კუთხეს. იმ ადამიანებმა, რომლებსაც გააჩნიათ ესა თუ ის ფიზიკური ნაკლი ან დეფექტი, სუსტი ფიზიკური მომზადება და სურთ აიმაღლონ (გაიუმჯობესონ) საკუთარი ჯანმრთელობა, დასაწყისში უნდა შეიძინონ ისეთი იარაღები, როგორიცაა ჯანმრთელობის ბადრო, ტანკარჯიშული გორგოლაჭი, სპორტული ტრენაჟორი „გრაცია“, ესპანდერები (ზამბარისა და რეზინის), ამორტიზატორები (რეზინის ლახტი, რეზინის ბინტი), მოწყობილობა მასაჟისათვის. შემდგომში, ხანგრძლივი ვარჯიშის პროცესში სპორტულ კუთხეს შეიძლება მიემატოს ჰანტელები (ჩამოსხმული და დასამლელ-ასაწყობი), გირები, შტანგა, ტანკარჯიშული კომპლექსი „ჯანმრთელობა“. ქვედა კიდურების განვითარებისათვის და ამტანობის სრულყოფისათვის მიზანშეწონილია მიემატოს ველოტრენაჟორი, ხოლო ზედა კიდურების განვითარებისათვის სანიჩბოსნო (მოსასმელი) მოწყობილობა-ტრენაჟორი, თუმცა, ეს უკანასკნელი, თანაბრად ანვითარებს როგორც ზედა, ასევე ქვედა კიდურების კუნთებს.

რადგან სარეაბილიტაციო, გამაჯანსაღებელ და

სპორტული წვრთნის პროცესში დიდი ადგილი უკავია ტრენაჟორებს, განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა.

ტრენაჟორი არის სასწავლო-სავარჯიშო მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება მოძრაობითი ჩვეულების განვითარებისათვის, ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვეული ფუნქციის აღსადგენად, ორგანიზმის სხვადასხვა ჯგუფის კუნთების განვითარებისათვის, მანქანების, მექანიზმების, მართვის ტექნიკის შესწავლისათვის.

ტრენაჟორები თავის დანიშნულების მიხედვით იყოფა ოთხ ჯგუფად:

1. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი;
2. სპორტული;
3. სამკურნალო-სარეაბილიტაციო;
4. სანარმოო-ტექნიკური.

ტრენაჟორის გამოყენების პროცესში არსებითად მაღლდება ადამიანის ორგანიზმის საციონურო რეზისურები, საუკეთესო საშუალებაა ჰიპოდინამიკის და ჰიპოკინეზის პროფილაქტიკისათვის. ამიტომ, გარდა ავადმყოფთა და ინვალიდთა ფიზიკური რებილიტაციისა, ჯანმრთელ ადმიანების ყოველ-დღიური ცხოვრების პროცესში ტრენაჟორებს დიდი ადგილი უჭირავთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრენაჟორები წარმოადგენს განსაკუთრებულ მატარიალურ-ტექნიკურ იარაღს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ნების-მიერი სასწავლო-საწვრთნო და საკორექციო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განსაკუთრებულ საშუალებას. ტრენაჟორების კონსტრუქცია ისეა შემუშავებული, რომ დიდ ადგილს არ იკავებენ, კომპაქტურია და მოსახერხებელი. ეს სავარჯიშო მოწყობილობები, მართლაც „ოჯახურია“ და საუკეთესო საშუალებაა მარტო, ცალკე ვარჯიშისათვის. ამრიგად, ტრენაჟორები წარმოადგენ ტექნიკურ მოწყობილობას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემულ სტრუქტურაში, სპორტული ვარჯიშების შესრულების დროს, ფიზიკური განვითარების ძირითადი საშუალების — მოძრაობის რიტმის, ტექნიკის, მოძრაობითი ჩვეულების ათვისებას, ფორმირებას და სრულყოფას.


ახლა კი, როდესაც განვსაზღვრეთ გამოსაყენებლად აუცილებელი სპორტული იარაღები, ყურადღებით დავათვალიეროთ ჩვენი სახლი და გადავწყვიტოთ, სად მოვაწყოთ სპორტული კუთხე.

სპორტული კუთხე სასურველია მოწყობის ნათელ ადგილზე, სადაც უფრო უხვად ხვდება მზის სხივები და სუფთა ჰაერის ნაკადი. ამისათვის, ყველაზე უკეთესი იქნება, ადგილი შევარჩიოთ ფანჯარასთან ან აივანზე გასასვლელ კარებთან. ეს ადგილი ბინაში ყველაზე განათებულია და სუფთა ჰაერით მარაგდება. აქვე კედელზე, შეიძლება განვალაგოთ თაროები სპორტული იარაღების შესანახად. იატაკზე უნდა დავაფინოთ ხალიჩა ან ფარდაგი წოლითი ვარჯიშების შესასრულებლად. კედელზე, მოსახერხებელ ადგილზე ჩამოვაიდოთ სარკე, რომლის წი-

ნაც დავაკვირდებით და კონტროლს გაუწევთ ჩვენს მოძრაობებს.

შემდეგ, შევარჩიოთ ადგილი ღერძის მოსაწყობად, რომელზედაც სრულდება მთელი რიგი სასარგებლო ვარჯიშთა კომპლექსები. ღერძი შეიძლება დამონტაჟდეს კარების სვეტებზე, ან მოვაწყოთ ორი კედლის კუთის სივრცეში. ორივე შემთხვევაში ღერძის დასამაგრებლად გამოიყენება ნალისებრი სამაგრები(სურ1), რომლებიც შეიძლება გაკეთდეს როგორც მეტალისაგან, ასვე გამოიჭრას მაგარი ხისაგან. სამაგრები მაგრდება შერჩეული სიმაღლის გათვალისწინებით კარების სვეტებზე ან კედლებზე ჭანჭივების გამოყენებით. ღერძად შეიძლება გამოვიყენოთ მრგვლად გამოჭრილი ხის ძელაკი ან წყლის მილის ნაჭერი(სურ1). ვარჯიშის შემდეგ ასეთი ღერძი იოლად იხსნება.

ღერძი შეიძლება ასევე გამოვიყენოთ სიმძიმეების ასაწევ მოწყობილობად. ღერძზე გადავიდებთ თოკს, რომლის ერთ ბოლოში მოვაბამთ გირს, ჰანტელს, რკინის ნაჭერს და ა.შ. ვარჯიშის დროს, რომ არ დაზიანდეს იატაკი და ჩავაბშოთ ხმაური, იატაკზე დავაფინოთ პოროლონი და ზემოდან დავადოთ ფანერა. იმისათვის, რომ შევამციროთ თოკის ხასუნი და უფრო ეფექტური გავხადოთ ვარჯიში, უკეთესი იქნება გამოვყენოთ ჭოჭონაქი, რომელიც დამაგრდება ღრეძზე. (სურ. 2)



სურ. 2

ჩვენ შევეცადეთ ზოგადად აგვეხსნა ოჯახურ პირობებში სპორტული კუთხის მოწყობის პრინციპი. მაგრამ, ეს იმდენად დელიკატური საკითხია, რომ მზამზარეული რეკომენდაციების და დებულებების შემოთავაზება შეუძლებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპორტული კუთხის მოწყობის დროს, ბევრი რამ დამოკიდებულია მომწყობის მონდომებაზე და ფანტაზიაზე. როდესაც საქმე გვაქვს ფიზიკურ რეაბილიტაციასთან და კორექციასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ აღნიშნული მიზნისათვის ყველანაირი ტრენაჟორი და სპორტული იარაღი არ გამოვვადგება. როგორც ყველა ადამიანია ინდივიდუალური, ასევე ინდივიდუალურია ყველა

ნაკლი და დეფექტი და ამიტომ მას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. შეიძლება მოხდეს ისე, რომ დაზიანების ინდივიდუალური ხასიათიდან გამომდინარე, სპეციალური ნახაზით, სპეციალური ტრენაჟორის დამზადება მოგვიხდეს. მოსალოდნელია მოხდეს ისე, რომ მთელი ჩვენი შრომა წყალში ჩაიყაროს, ვინაიდან, რამდენიმე ხნის შემდეგ, ვარჯიშის ინტერესი დიკარგოს და სპორტული ტრენაჟორები და იარაღები გამოუსადეგარი გახდეს. ფიზიკური ვარჯიშებისადმი ასეთი ცივი განწყობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს. მაგალითად, კუნთებში არასასიამოვნო შეგრძნებები (ტკივილი, დაღლილობა და ა.შ.) საერთო განწყობილების გაუარესება, გულაცრუება, ხშირად ვერ ამჩნევენ ნაკლის თუ დეფექტის გამოსწორების გაუმჯობესებას

და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, ყველა ამ უარყოფითი შეგრძნებების და ემოციების საფუველი გახლავთ ვარჯიშების არასწორი დაგეგმვა და წარმართვა. დასაწყისში გამოიყენებოდა ძალზე ძლიერი ან არასაკმარისი დატვირთვა, არასწორად იყო შერჩეული ვარჯიშთა კომბლექსები და სავარჯიშო იარაღები. არ ვიცოდით ვარჯიშების მნიშვნელობა, ვარჯიშები სახეობების და მისი დატვირთვის ნიშანთვისებების მიხედვით. არ იყო დაცული ვარჯიშის დროს აუცილებელი პერიოდულობა და დოზირება და ა.შ. ამიტომ, საჭიროა ძირითადი მეთოდური წესების და რეკომენდაციების ცოდნა, რომლებიც პირველ ეტაპზე მოგვცემენ ვარჯიშთ სწორად წარმართვის საშუალებას.

გაბრძელება შემდეგ ნომერში



### წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე — 1907)

20 (2-08) ივლისი

წმიდა ილია მართალი (ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე) 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით) დაიბადა კახეთში, სოფ. ყვარელში. პირველ დაწყებითი განათლება მან იჯახში მიიღო: ილიამ შეისწავლა წერა-კითხვა, ლოცვები, საღვთო ისტორია. რვა წლის ილია ყვარლის მთავარ დიაკონ ნიკოლოზ სეფაშვილისათვის მიუბარებიათ — მასთან გატარებულმა სამმა წელმა წარუშლელი კვალი დატოვა წმიდანის ცხოვრებაში.

ილიამ სწავლა თბილისის კერძო პანსიონში, შემდგომ კი კეთილშობილთა გიმნაზიაში გააგრძელა. მშობლები მას ადრე გარდაეცვალა და დაობლებული იჯახის პატრონობა მამიდა მაკრინემ იტვირთა.

1857 წელს ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, სადაც ის ძალიან ბევრს კითხულობდა, გახსაკუთრებით დევლი ქართული წიგნებით იყო დაინტერესებული, აკადემიური მოსწრებაც მაღალი ჰქონდა. მან მეოთხე კურსიდან მიატოვა სწავლა და 1861 წელს ღრმად და მრავალმხრივ განსწავლული დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი წუთი, რომ მას საქართველოსთვის არ ეფიქროს. საჭირო იყო ერის გამოღვიძება, მართალი სიტყვის თქმა, ... ილია არ ერიდებოდა მწარე მხილებას.

ეროვნული ინტერესები აიძულებდა ილიას, ისტორიკოსის ფუნქციები ეკისრა: მატიანებს უღრმავდებოდა, ეძებდა, იკვლევდა და საქართველოს ღირსების შემლახავებს, ისტორიის ფალიფიკატორებს ღირსეულ პასუხს სცემდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილების ციკლი „აი, ისტორია“ და „ქვათა ღაღადი“. დიდი ქართველი მოღვაწე ხშირად იმეორებდა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“. იგი ზრუნავდა ენის სინმინდისათვის, იბრძოდა მისი უფლებების დასაცავად სკოლებში. მან დაარსა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში განაცხადა ილია მართალმა; „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“... მას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისათვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ: 1905 წლის ოქტომბერში დასწრებია წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის სასწავლებლის შენობაში გამართულ სამღვდელოებათა კრებას, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტონომიის საკითხს მიეძღვნა, მეთაურობდა საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც კავკასიის მეფისწაცვალს მიმართა თხოვნით მხარი დაეჭირა ქართველთა ბრძოლისათვის ავტოკეფალის დასაბრუნებლად.

ილიას მოღვაწეობა იმდენად აღიზიანებდა და აშინებდა ეკლესიას და ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილ სატანური მოძღვრების გზაბანეულ მიმდევრებს, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს თბილისიდან საგურამოში მიმავალი ილია ვერაგულად მოკლეს.

მთელი საქართველო დასტიროდა წმიდა ილიას ცხედარს. ილიამ სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლელებს ცნობილი ლექსით „ლოცვა“.

„... რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან.“

1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა განიხილა ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და განაჩინა. „ილია ჭავჭავაძე შერაცხულ იქნას წმიდანად და ეწოდოს მას ილია მართალი“.

## „ვინა თქვა უცი უგელურია?...“

მურთაზ კანკაბი

ქუთაისში, წითელ ხიდთან, წყალტუბოსა და მეზობელ სოფლებთან დამაკავშირებელ საგარეუბნო ავტოსადგურთან, ყოველთვის ხალხმრავლობაა. მდინარე რიონის სანაპიროსა და გაბაშვილის გორიდან დაშვებულ უზარმაზარ კლდეს შორის მდებარე გალაქტიონ ტაბიძის ქუჩაზე დაქრიან აჭრელებული სამარშუტო მიეროავტობუსები, ნაირ-ნაირი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები. განიერ ტროტუარზე, რომელიც მოსაცდელის მოვალეობას ასრულებს, ირევან ბარგიანი და უბარგო მგზავრები.

ადამიანების ფუსფუსსა და ტრანსპორტის გნიასს ხშირად არღვევს მუსუკის მხიარული ჰანგები. წვერ-გაუბარსავი, ხალვათად ჩაცმული შუახნის მამაკაცი მონდომებით წელავს ძველ, კლავიშებჩაცვენილ გარმონს და მის წრიპინს გაურკვევლ ბერებს აყოლებს. ზოგჯერ დოლიც თან დააქვს და განრიგის მომლოდინე მძლოლები „აკომპანიატორობას“ უწევენ, თან გაცვეთილი ქურთუკის ჯიბეში ხურდა ფულს უყრიან.

ასე იწყება აქაურთათვის კარგად ნაცნობი დათა იობიძის თითქმის ყოველი დილა. შეა ხნის ასაკის მიუხედავად არც ბიძას ეძახის ვინმე და არც ბაბუას. ის ყველას-თვის დათაა, კეთილი და გულუბრყვილო..

დათა გუმბრელია. დაბადებიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა. სკოლაში არ უვლია და ბუნებრივია, წერა-კითხვა არ იცის. ფულს კი ცნობს, მაგრამ ანგარიში ერევა. სახლში მოხუცი დედმამა და ცოლშვილიანი ძმა ჰყავს. თავის დროზე კოლმეურნეობაში ჩაის მტვირთავად უმუშავნია. ახლაც ხელს აშველებს ოჯახს. საღამოს სოფელში აღალად ნაშოვნი გროშებით შეძენილი პურით ბრუნდება.

ინათებს თუ არა, დათა თავის განუყრელი გარმონით ამოჩე-მებულ ადგილს ესტუმრება. დიდი გალაქტიონის ძეგლის გვერდით, ძელსკამზე ჩამომჯდარი ღილინით იმ სევდას იქარვებს, გაუსაძლისმა ცხოვრებამ რომ ქუჩაში გამოაგდო და ასე წვალებით უხდევბა თავის რჩენა. ზევიდან კი ბრინჯაოში გაცოცხლებული მგოსანი თითქოს ჩურჩულით ეუბნება „ვინა თქვა შენი უბედურება, არა, დღესა ხარ შენ ბედნიერი!...“



## საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდვი



28 მაისს სპორტკაფე „მსოფლიო სპორტში“ გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდვი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებს შორის. ჩემპიონატში 70-მდე სხვადასხვა ასაკის მკლავჭიდელმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება, სადაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ნარმომადგენელმა გამოსცადა მკლავის სიმაგრე, 7 წონით კატეგორიაში ჩატარდა. განსაკუთრებით დაძაბული ფინალური ორთაბრძოლები გამოდგა, სადაც მონაწილეებმა ყველაზე მეტი უინი გამოავლინეს.

ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს პაროლიმპიური კომიტეტი გახლდათ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთად. გამარჯვებულებსა და პრი-



ზორებს მედლებთან და დიპლომებთან ერთად სპორტის დეპარტამენტის მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ჩემპიონ-პრიზიორები სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ – დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და მისმა მოადგილეებმა – გია გალდავამ და ირაკლი სამყურაშვილმა დააჯილდოვეს.

საქართველოს პაროლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის – გიორგი ნასიძის თქმით – ტურნირი ტრადიციული გახდება და სამომავლოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს სპორტის სხვა სახეობებშიც მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი.

## საქართველოს ჩემპიონატი გელავჭილში

### მემარჯვენები

**მსუბუქი წონა**  
1 – ვახო ახობაძე  
2 – შოთა ომანაშვილი  
**საშუალო წონა**  
1 – ბესო ლეკიაშვილი  
2 – მერაბ დუკაშვილი

**მძიმე წონა**  
1 – იაგო გორგოძე  
2 – ფრიდონ ელიზბარაშვილი  
**სუპერფინალი**  
1 – ბესო ლეკიაშვილი  
2 – იაგო გორგოძე

### მემარცხენები

1 - იაგო გორგოძე  
2 - რატი იონათამიშვილი  
**ოზურგეთი**  
1 - ავთონ ჭახნაგია  
2 - დათონ ჭოჭუა

### ყრუ მუნჯები

**მსუბუქი წონა**  
1 - ბეჟან ქორიძე  
2 - დავით რუბენია  
**მძიმე წონა**  
1 - კობა სირაძე  
2 - ვლადიმერ კვინიკაძე



## პაროლიმპიური თამაშების ისტორია

თეიმურაზ მიძიაშვილი

პატივცემულო რედაქცია, ამასწინათ ევ-  
როსპორტის არხზე ვიხილე არაჩვეულებრი-  
ვი გადაცემა, რომელიც საერთაშორისო პა-  
როლიმპიურ თამაშებს ეძლვნებოდა. ძალიან  
სამწუხაროა, რომ საქართველოს მრავალ-  
რიცხოვანი ტელეარხება, არ ისურვა, ფართო  
საზოგადოებისათვის გაეცნო საერთაშორისო  
საინვალოდო სპორტული მოძრაობა. გთხოვთ,  
თქვენი უურნალის საშუალებით გვიამბოთ  
მსოფლიოს საინვალოდო სპორტულ მოძრაობაზე,  
კერძოდ პაროლიმპიურ თამაშებზე.

პატივისცემით, ირაკლი სართანია, თბილისი.

ინვალიდის ეტლებით სპორტის განვითარება  
დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემ-  
დეგ. მის დამაარსებლად ითვლება, ინგლისელი  
მეცნიერი, ლუდვიგ გუტმანი, რომელიც მუშაობდა,

ლონდონის ახლომდებარე პატარა ქალაქ, სთოქ-  
მანდევილის პოსპიტლში, ნეიროქირურგად. მან  
პირველმა დაიწყო ამპუტირებულებთან ფიზიკური  
ვარჯიშების ჩატარება, რამაც დიდი შედეგი გამოიღო  
მათი ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში. ამავე  
პოსპიტალში, 1944 წელს, პირველად ჩატარდა შე-  
ჯიბრებები ინვალიდის ეტლებით ამპუტირებულთა  
შორის. აღნიშნულმა თამაშებმა საზოგადოების  
დიდი ინტერესი და პრესის გამოხმაურება გამოი-  
წვია. შემდგომში ამპუტირებულთა და პარალიზე-  
ბულთა საერთაშორისო თამაშებს ეწოდა სთოქ-  
მანდევილის თამაშები. „მთავარი ის კი არ არის,  
რაც დაიკარგა, არამედ, მნიშვნელოვანია ის, რაც  
დარჩა”, — ამბობდა ლუდვიგ გუტმანი. კლინიკური  
სპორტიდან ნარმოშობილი თამაშების პროგრამას  
დაემატა მშვიდლდოსნობა. სპორტის ეს სახეობა,  
ლუდვიგ გუტმანს, მიაჩნდა იდეალურ საშუალებად

იმ ჯგუფის კუნთების განვითარებისათვის, რომლებიც განლაგებულია დაზიანებული ზურგის ტვინის ზედა დონეზე. უფრო მეტიც, ეს სპორტის ერთერთი სახეობაა, რომელიც სპორტსმენ-ადაპტანტს საშუალებას აძლევს იასპარეზოს ჯანმრთელი სპორტსმენების თანასწორად. შემდგომში, უფრო გაიზარდა სპორტის სახეობების რაოდენობა და მიერთა მატა მაგიდის ჩინგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, მძლეოსნობა და ა.შ. სთოქ-მანდევილის პაციენტები, მართლაც რომ კარგად გრძნობდნენ თავს სპორტულ თამაშებში მონაწილეობით, მაგრამ მათი პოტენციალი, თითქმის სათანადოდ არ იქნა შეფასებული ექიმების მიერ. ისინი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ ინვალიდების ავადმყოფობაზე, ხოლო მათი სპორტსმენებად ჩამოყალიბების საქმე, სამომავლოდ გადადეს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საზოგადოება ბევრს უნდა უმადლოდეს სთოქ-მანდევილის საერთაშორისო მოძრაობას, რომელმაც დაამკვიდრა ზურგის ტვინის დავადებათა მეურნალობის ახალი მეთოდები. მრავალი ექიმი ესტუმრა სთოქ-მანდევილს ამ მეთოდების შესასწავლად. თუმცა, ლუდვიგ გუტმანს ხშირად აკრიტიკებდნენ კიდეც ასეთი მეთოდების დამკვიდრების გამო, ბრალს სდებდნენ ზომაზე მეტ მზრუნველობაში. გუტმანი თვლიდა, რომ ინვალიდები არ უნდა ყოფილიყვნენ მიჯაჭვული მხოლოდ ინვალიდთა ეტლებს, მათაც უნდა ჰქონოდათ საშუალება, დამტკბარიყვნენ ცხოვრებით. ამისათვის კი უნდა შეცვლილიყო თავად საზოგადოების მიდგომა ინვალიდებისადმი.

1948 წლის 27 ივნისს ჩატარდა სთოქ-მანდევილის პირველი თამაშები პარალიზებულთათვის, სადაც მონაწილეობდა, სულ 16 პაციენტი. იმავე დღეს, ლონდონში, საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის საერთაშორისო ოლიმპიური თამაშები. ამ ღონისძიების წყალობით, ლუდვიგ გუტმანს დაებადა საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების პარალელურად პარაპლეგიკთა საერთაშორისო თამაშების ჩატარების იდეა (ეს იყო მცდელობა, მოეხდინათ საინვალიდო სპორტის ინტეგრაცია ოლიმპიურ თამაშებთან და შეეფასებინათ, თუ რამდენად მიიღებდა საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს). საინვალიდო ეტლებით თამაშების ჩატარების ორგანიზაციას საფუძვლად დაედო ფუნქციონალური შესაძლებლობის კლასიფიკაცია

და თამაშებში კულტივირებული სპორტის სახეობებში შეჯიბრების ჩატარების წესების მცირედი ცვლილებები.

1959 წელს, ლუდვიგ გუტმანმა, თავის წიგნში— „სთოქ-მანდევილის თამაშების წესები პარალიზებულთათვის“, გამოაქვეყნა დამუშავებული წესები სპორტის ყველა სახეობისათვის. „სთოქ-მანდევილის თამაშების მიზანია,— წერდა გუტმანი, — მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარალიზებული ადამიანის გაერთიანება საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში. „დაე, სპორტმა შთაბეროს იმედი და გაამხნევოს ათასობით პარალიზებული“— შესანიშნავი ადამიანის ლუდვიგ გუტმანის ნოვატორულმა წამოწყებამ, მისი საქმიანი და ადამიანური თვისებების წყალობით, შესაძლებელი გახადა ისეთი სპორტული მოძრაობის შექმნა, რომელმაც საოცრად გარდაქმნა, არა მარტო ინვალიდთა, არამედ მათი ნათესავების, მეგობრების, ახლობლებისა და საერთოდ მთელი საზოგადოების ცხოვრება.

ინვალიდთა სახსრებით, პენსიონერებისა და სხვათა შემოწირულობებისაშუალებით, სთოქ-მანდევილში აშენდა სტადიონი. ქალაქის ხელმძღვანელობამ და ამ ქალაქში მაცხოვრებლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სტადიონზე მოსვლა ყოფილიყო სასიამოვნო და დასამახსოვრებელი. ინვალიდი სპორტსმენებისათვის კი, შეიქმნა ყველა პირობა, ვარჯიშისა და შეჯიბრებებისათვის. 1957 წელს, სთოქ-მანდევილში, პარაპლეგიკთა საერთაშორისო თამაშებში მონაწილეობისათვის ჩამოყიდა 360 სპორტსმენი მსოფლიოს 24 ქვეყნიდან ყოველწლიურმა სთოქ-მანდევილის თამაშებმა, მოპოვა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის სტატუსი და პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში. მის უდიდეს პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ყოველწლიურად სთოქ-მანდევილში ტარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო თამაშები.

მსოფლიოში პარალიმპიური თამაშების დაწყება სათავეს 1960 წლიდან იღებს. რომის ზაფხულის XVII ოლიმპიური თამაშების არენაზე პირველად გამოვიდნენ ინვალიდი სპორტსმენები, რათა ოლიმპიური წესების მიხედვით შერკინებოდნენ ერთმანეთს. თამაშებს მიესალმა და წარმატება უსურვა რომის პაპმა, იოანე XXII-მ. თამაშებში მონაწილეობდა



მსოფლიოს 23 ქვეყნის 400 ათლეტი.

ზაფხულის II პაროლიმპიური თამაშები ჩატარდა ტოკიოში, 1964 წლის ნოემბერში. ტოკიოს პაროლიმპიურმა თამაშებმა, მსოფლიოს საზოგადოების უდიდესი ყურადღება გამოიწვია. იაპონელებმა, რომლებმაც გადაიტანეს ატომური დაპომბების საშინელება სიროსიმასა და ნაგასაკში, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს სპორტსმენ-ინვალიდების მიმართ. ამ თამაშებმა, ნათელყო პარალიზებულ ადამიანთა უდიდესი შესაძლებლობები. გადალახეს რა დიდი მანძილი იაპონიამდე, მონაწილეობა მიიღეს, როგორც სპორტულ შეჯიბრებებში, ასევე მრავალრიცხოვან ღონისძიებებში და დაანახეს მთელ მსოფლიოს, რომ მათაც შეუძლიათ სპორტული რეკორდების დამყარება, დიდი, თვალსაჩინო საქმეების კეთება და არაფრით ჩამორჩებიან ჯანმრთელ ადამიანებს არც სპორტულ ასპარეზზე.

თამაშების შემდეგ, იაპონიაში გაიხსნა, მრავალი სპეციალიზებული საწარმო, სადაც უამრავი ინვალიდ დასაქმდა.

ზაფხულის III პაროლიმპიური თამაშები ჩატარდა, 1968 წელს, თელ-ავივში, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 29 ქვეყნის 750 სპორტსმენმი. თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა 25000-ზე მეტი მაყურებელი. ამ თამაშებმა დამტკიცა, რომ მსოფლიოში წარმატებით ვითარდებოდა საინვალიდო სპორტი.

ასე დაიწყო თავისი ტრიუმფალური სვლა, საერთაშორისო პაროლიმპიურმა თამაშებმა, რომელიც ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების პარალელურად. ამ თამაშებზე თვალნათლივ ჩანს კეთილი წების ადამიანთა სოლიდარობა. შეჯიბრების სულისკვეთებასაოცარი სიმძაფრით გამოირჩევა, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, პაროლიმპიურ თამაშებს გააჩნია უფრო ღრმა აზრი, რომლის მიზანია, მეგობრობის და სოლიდარობის საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანების გაერთიანება.

ზაფხულის IV პაროლიმპიური თამაშები ჩატარდა, 1972 წელს, ჰაიდელბერგში(გფრ), ხოლო ზაფხულის V პაროლიმპიური თამაშები 1976 წელს ტორონტოში (კანადა). 1974 წელს, დაინიშნა მსაჯების

პირველი კომისია და შემუშავდა სპეციალური სალიცენზიონი პროცესი. 1975 წლიდან ინვალიდთა საერთაშორისო სპორტს ჰყავდა ლიცენზირებული მსაჯები სპორტის კულტივირებულ სახეობებში.

ზაფხულის VI პაროლიმპიური თამაშები ჩატარდა 1980 წელს არხეიმში (ჰოლანდია), სადაც მონაწილეობა მიიღო 2500-მა სპორტსმენმა მსოფლიოს 42 ქვეყნიდან. თამაშების პროგრამაში შეტანილი იქნას სპორტის ახალი ფიციალური სახეობები ამჟამინდებულთა პროგრამით. პირველად მიიღეს მონაწილეობა ბავშვთა ცერებრული დამბლისა და სხვა კატეგორიის წარმომადგენლებმა.

შემდგომი ზაფხულის საერთაშორისო პაროლიმპიური თამაშები ჩატარდა 1984 წ. ნიუიორკში (აშშ), 1988 წელს სეულში (კორეა) და 1992 წელს ბარსელონაში (ესპანეთი). 1982 წელს შეიქმნა მსოფლიოს საინვალიდო სპორტული ორგანიზაციების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი (ICC), რომელმაც მიზნად დაისახა ნაციონალური ფედერაციების დაახლოება და გაერთიანება.

ოლიმპიური მოძრაობის 100 წლის იუბილეზე, ატლანტაში (აშშ, 1996წ.), მთელი პლანეტის სპორტსმენებთან ერთად პაროლიმპიური თამაშების მონაწილე მსოფლიოს 102 ქვეყნის 3218 ინვალიდი სპორტსმენი ზეიმობდა. 2000 წლის, სიდნეის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნამ, ნათელყო ოლიმპიური და პაროლიმპიური მოძრაობის არსის სიდიადე, მათი ერთიანობისა და ზოგადსაკაცობრიო იდეალების მარადიოულობა. ამ თამაშებში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 125 ქვეყნის 4000-მა სპორტსმენმა. ნაკრებ გუნდებს ეხმარებოდა 2000 კაციანი პერსონალი და 10000 ნებაყოფლობითი დამხმარე (ვალანტიორი).

პროგრესულ მა საზოგადოებამ ღირსეულად შეაფასა სიდნეის პაროლიმპიური თამაშების მნიშვნელობა საინვალიდო სპორტის განვითარებისა და ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრების საქმეში გაწეული დიდი წვლილისათვის.

გამოიყენეთ გეგმები  
ნოვერამი

სურათზე-პაროლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჩოგბურთში ესთერ ვერგერი და ცნობილი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი



ლონდონის სამედიცინო ბიბლიოთეკაში თვალ-საჩინო ადგილზე გამოფინეს იმ ძროხის ტყავი, რომ-ლისგანაც ინგლისელმა ექიმმა, ედუარდ ჯენერმა, ყვავილის პირველი ვაქცინა მიიღო.

ცნობილი რუსული წარჩინებული გვარი— კენტამირი— თემურ ხანიდან მოდის- “ხან ტემურ”.

დანტონმა თქვა — არაფერია იმაზე ძნელი, ხელახლა აღზარდო ცუდად გაზრდილი.

ინგლისში ქალ-მერსაც ისე მიმართავენ, როგორც კაცს — “მისტერ მერ”.

იაპონური ანდაზაა: თუ ჭირი მოგადგა, შენი თავის იმედი იქონიეთ.

ვიფიქროთ ორთა უმაღლესთა და უძვირფასე-სთა ნიჭთათვის, რომელნი აღამაღლებენ ბუნებასა კაცისასა, ესე იგი, სინდისისა ანუ ნამუსისათვის და რწმენისათვის — გაბრიელ ეპისკოპოსი.

ცნობილი ფრანგი მოგზაური, იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე უან შარდენი (1643-1713), რომელმაც საქართველოში 1672-73 წლებში იმოგზაურა, ასე აღნერს ქართული სუფრის ცერემონიალს (გადმოგცემთ შემოკლებით) "...ას კაცზე მეტი იყო ზეიმზე. მერე გაშალეს სუფრა, ... მოიტანეს პური. სამნაირი პური იყო: თხელი, როგორც ქაღალდი, თი-თის სისხო და პატარ-პატარა დაშაქრული პურები. ხორცი მოიტანეს ვერცხლის დიდი ლანგრებით, ვერცხლისავე ხუფები ხეურა... სამგვარი საჭმელი მოვიდა სუფრაზე. ყველა სამოცამდე ვეება ლანგრით ... მერე შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, მშვენიერი მომუავოდ მოხრაული ხორცი და სხვა ამგვარი საჭმელები... ყველა უთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვინენ ის ასორმოცდათი კაცი, რომელიც სეფაში იჯდა... ასოცამდე ლვინის სასმელი ჭურჭელი იყო სუფრაზე. ბადიები, თასები, ყანები, კულები, თორმეტი აზარფება და სხვ. აზარფებები თითქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი დასევადებული ოქროსი, ზოგი ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ზოგი ვერცხლის იყო... ყველანი ცოტას სვამდნენ. მხოლოდ მესამე თავი საჭმელი რომ შემოვიდა, მაშინ შეხურდნენ და საკვირველად დაინტენეს სმა....".

თბილისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიიარქო ტაძარი — ისტორიული ცნობების თანახმად, ქართლის ერისმთავრებს VI საუკუნის II ნახევარში დაუწყიათ საეპისკოპოსო კათედრალის-დიდი ეკლესიის ანუ სიონის მშენებლიბა. ტაძარი მრავალჯერ დაურბევია და დაუნგრევია მტერს. შემდეგ კი მრავალჯერ აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ, რაზედაც მეტყველებს მის კედლებზე დაცული წარწერები. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანიდან ვგებულობთ, რომ თბილელ ეპისკოპოსს ელისე საგინაშვილს 1657 წელს ხელმეორედ აუშენებია სიონის გუმბათი, მოუხატვინებია და მოურთავს კარიბჭე, სიონი განსაკუთრებით დაზიანდა 1795 წელს აღა-

## მარტინ

მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. XIXს. დამდეგი-სათვის ტაძარი საფუძვლიანად აღადგინეს, ხოლო ამავე საუკუნის შუა წლებში ხელახლა მოიხატა რუსი მხატვრის გ. გაგარინის ესკიზების მიხედვით.

1727 წელს გერმანელმა მეცნიერმა იოჰან შულ-ცმა აღმოაჩინა, რომ ვერცხლის შემცველი ზოგიერ-თი მარილი მზის შუქის ზემოქმედებით მავდებოდა. შემდგომ, თომას უეჯვუდმა, უბრალო მეთუნის ვაჟმა, გამოიყვანა ვერცხლის ნიტრატი მზის შუქის ექსპონირების შემდეგ მინაზე სურათის ასლის მისა-ლებად, მაგრამ, სამწუხაროდ, მან არ იცოდა გამო-სახულების დამაგრება (ფიქსირება). ჰემფრი დევიდ 1802 წელს გამოაქვეყნა ამ ექსპერიმენტის შედეგე-ბი. ინგლისელმა მეცნიერმა, ნეპსმა ფოტოგამოსა-ხულების მისალებად გააგდებლა ცდების ჩატარე-ბა. 1829 წელს ფრანგ მხატვარ დაგერთან ერთად დაინუო ჰელიოგრაფიის სრულყოფა. იმ დროისათ-ვის ნეპსმა უკვე შექმნა ჰელიოგრაფიის მეთოდი.

1837 წელს, ნეპსის გარდაცვალების შემდეგ, დაგერმა, ისე სრულყო ნეპსის მეთოდი, რომ შეს-ლო მაღალი ხარისხის გამოსახულების მიღება.

ფრანგმა მეცნიერებმა გამოიკვლეს 215 მშობე-ლი, რომლებიც ალკოჰოლიზ მით იყვნენ დაავადე-ბული და დაადგინეს, რომ ამ მშობლების 819 ბავშ-ვიდან იყო:

16 მკვდრადშობილი;

3 ნაადრევად დაბადებული;

38 ფიზიკურად განუვითარებელი და ამის საფუ-ძვლებები შრომისუუნარონი;

55 ტუბერკულიოზით დაავადებული;




145 ფსიქიურად დაავადებული, ხოლო

121 გარდაიცვალა 20 წლის ასაკამდე.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ალკოჰოლიზმი და ლოთობა წარმოადგენს ბავშვების ადრეული ასაკი-დან გონებრივი წამორჩენილობის მიზეზს, რომ-ლებიც საჭიროებენ სპეციალიზებულ სამედიცინო და სოციალურ დახმარებას. ბავშვთა ცერებრული დამბლის(ერთ-ერთი მძიმე პათოლოგიური ფორმა საბავშვო ასაკში) შესწავლის დროს 100 დაავადე-ბულიდან ყველაზე დადგინდა ალკოჰოლიზმის და ლოთობის პირდაპირი გავლენა.

ყოველგვარი ცოდნა, რაც მოიპოვა (შეიძინა) ადამიანმა, მიღლი გრძნობის (სენსორული) ორ-განოებიდან. ცოდნის შეძენა (ფორმირება) ხდება წაკითხულის, მოსმენილის, დანახულის, შეხების, ყნოსვის და დაგემოვნების შემდეგ მიღებული ინ-ფორმაციის აღქმის შედეგად.

ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი (1632-1704) წერდა—“გონებაში არ არსე ბობს ისეთი რამ, რომელსაც წინასწარ არ გაუვლია გრძნობის ორ-განოები”. ეს დებულება გახდა საფუძველი სენსუ-ალიზმის შემოღების შესახებ, რომელიც აღიარებს შეგრძნებებს, როგორც შემეცნების ერთადერთ წყაროს.



ძვირფასო მკითხველო, გთხოვთ, ითანამშრომლოთ  
ჩვენს უურნალთან. გამოგვეხმაურეთ, მოგვწერეთ  
თქვენს ისტორიაზე, თქვენი ცხოვრების ამბებზე.  
გამოგზავნეთ თქვენი ლექსი, მოთხრობა თუ საკუ-  
თარი ბიოგრაფია. ნუ დაიზარებთ, გაუზიაროთ თქვენი  
ცოდნა და გამოცდილება სხვებს.  
ვიყოთ ერთმანეთის იმედი.

**ISBN 1987-7161**

